სტატუსი:

უსარლკარო

მარიამ ნატროშვილი

სცაცუსი:
უსახლკარო

სტატუსი: უსახლკარო

საქართველოში თავზე ჭერიდან უსახლკარობამდე ერთი ნაბიჯი, ერთი ამბავია.
აქ თავმოყრილი ამბების გმირების ნაწილს ერთ დროს სახლი ჰქონდათ, დღეს კი თავშესაფარში ცხოვრობენ. ეს ამბები იქ შევაგროვეთ - ქალაქის ნაპირებზე გაფანტული თავშესაფრები ბევრ ერთმანეთისგან განსხვავებულ და თან ერთნაირ ამბავს იტევს.
ეს ამბები, როგორც ფაზლის ნაწილები, დიდი ამბის ნატეხებია. დიდი ამბავი კი საქართველოს ახალი ისტორიაა - იმედგაცრუების, სასოწარკვეთის, სიღარიბის, შფოთის, უიმედობის ნამტვრევებით აწყობილი.

საბჭოთა კავშირის დაშლისას ნანგრევებში ბევრი ადამიანი მოყვა. ბევრმა ვერ შეძლო ახალ დროში თავის გადარჩენა, ადგილის პოვნა.
ახალმა დრომ მოიტანა ომი, არეულობა, უშუქობა და შიმშილი. ადამიანებმა პურის ფულად გაყიდეს ყველაფერი, რაც კი ებადათ. ბევრი დარჩა ღია ცის ქვეშ. 90-იანი წლების არეულობაში ზოგი დაშინების, ზოგი თაღლითობის მსხვერპლი გახდა. კანონების, თამაშის ახალი წესების არცოდნის გამო, ადამიანები ჭერის გარეშე დარჩნენ.
2000-იანი წლების დასაწყისში საკრედიტო ბუმი დაიწყო. სესხს, ბინის ჩადების შემთხვევაში, ბანკები მარტივად გასცემდნენ. ჯანდაცვის სისტემის მოშლის გამო ბევრი გახდა იძულებული საკუთარი ან შვილის ჯანმრთელობა ბინაში

გაეცვალა. სახელმწიფომ ადამიანები მარტო, საკუთარი თავის, უფრო სწორად, სახლის იმედად დატოვა.

ყველა ამ ამბის გმირს ერთი სტატუსი აერთიანებს: უსახლკარობა. სტატუსის მისაღებად განცხადების დაწერაა საჭირო. კომისია რამდენიმე თვეში ერთხელ იკრიბება და სტატუსის გაცემას განიხილავს. უსახლკარობის ბიუროკრატია მკაცრი და სევდიანია. უსახლკარობის სტატუსის მიღების შემდეგ ადამიანი რიგში დგება და თავშესაფარში განაწილებას ელოდება. ზოგს, ვინც სოციალურად დაუცველია, მუნიციპალიტეტი ბინის ქირას - 200-300 ლარს უხდის.
ისტორიები ძირითადად სამ ადგილას შევაგროვეთ: ლილოს თავშესაფარში, ორხევის სოციალურ საცხოვრისში და ყოფილ მე-8 საავადმყოფოში.

ორხევის საცხოვრისში მოსახვედრად განცხადების დაწერა და რიგში ჩადგომაა საჭირო. ლილოს თავშესაფარში - მისვლაა საკმარისი, ადამიანებს ქუჩიდან იღებენ.
ყოფილ მე-8 საავადმყოფოს შენობაში შეფარებულებს "შეჭრილებს" ეძახიან. რიგებში დგომას, ლოდინს ან ქუჩაში ღამის გათენებას ბევრმა არჩია მიტოვებულ შენობაში შესვლა და ცხოვრება. დაშლილი ინფრასტრუქტურა - დაშლილი საავადმყოფოების, ქარხნების, საწყობების შენობების შიშველი კედლები ბევრისთვის იქცა სახლად.
თავშესაფარში ადამიანი ხშირად პოლიციას მოჰყავს ქუჩიდან. ზოგი მალე გამორბის, არ ჩერდება. ზოგი თავშესაფარში თავისი ფეხით მიდის. ქუჩაში მხოლოდ ის რჩება, ვინც

ალკოჰოლზე ან სხვა ნივთიერებებზეა დამოკიდებული, ვინც თავშესაფრების მკაცრ წესებს და უცხო ადამიანებს ვერ ეჩ-ვევა.
თავშესაფრები უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანებისთვის დროებითი სადგურია უკეთესის მოლოდინში. სახლის ან უკეთესი საცხოვრებლის იმედი ბევრს აქვს.

თავშესაფარი თუ საცხოვრისი სახლი ვერავისთვის გახდა. კონტროლის სისტემა, ხმაური, 5-6 ადამიანი ერთ ოთახში, ცუდი პირობები ყოველდღიურობას აუტანელს ხდის.
თავშესაფარში ცხოვრება ბევრისთვის ნებაყოფლობით ტყვეობად იქცა. აქ მცხოვრები უსახლკარო ადამიანები ხში-რად სიღარიბის პატიმრები არიან. სხვა ჭერი მათ არ აქვთ. სხვა გზა მხოლოდ ქუჩაა.

ნელი

ორხევის საცხოვრისი

დავიბადე თბილისში.
ვისწავლე 31-ე საშუალო სკოლაში, მერე თოიძეში ჩავაბარე. იმ ხანებში თოიძე იყო სამხატვრო აკადემიის დონეზე. 69 წელში ჩავაბარე.
ეხლა კი გაანადგურეს და გააუქმეს, მაგრამ, მაშინ ისეთი კადრები გამოდიოდა... საუკეთესო.
მე ვარ თეატრის მხატვარი. ჰოდა, იქიდან მერე ვანში გამაგზავნეს. მაშინ გავთხოვდი, ჩემს ჯგუფელს გავყევი. ცოლ-ქმარი წაგვიყვანეს ვანში. ვანის სამხატვრო სკოლაში ვმუშაობდით. ქირით ვიყავით, მერე ბინა მოგვცეს.
რომ წამოვედით, ის ბინა ჩემმა მეუღლემ თანამშრომელს აჩუქა.
ეჰ, ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით.
რადგანაც ჩასულები ვიყავით, წყლის მაგივრად ღვინით გვიმასპინძლდებოდნენ. მამაკაცების ამბავი ხომ მოგეხსენებათ, ჰოდა, აღარ ვისურვე იქ გაჩერება. გვპირდებოდნენ, მანქანას მოგცემთ, ყველაფერს მოგცემთ, ოღონდ არ წახვიდეთო.
წამოვედით.
მერე, ბავშვები რომ შემეძინა, შესვენება გავაკეთე 3-4 წელიწადი. ბავშვები რომ სკოლაში შევიყვანე, მეც დავიწყე მუშაობა. ვმუშაობდი კიევის ქუჩაზე, 30-ე საშუალო სკოლაში.

მერე, ზვიადის დროს არეულობა დაიწყო.
ბინა დედაჩემის იყო, მემკვიდრეობით ერგო. დედაჩემი დაიჭირეს ქუჩაში მარტო, დააშინეს შვილების სიკვდილით და მოაწერინეს ხელი. რაზე მოაწერინეს - დედაჩემი აზრზე არ იყო, 77 წლის ქალი ვერ მიხვდა რაზე მოაწერინეს ხელი. თურმე, მემკვიდრეობაზე მოაწერინეს.
ბინაში შემოგვივარდნენ, ფული მოგვთხოვეს და გამოგვყარეს. დროებით გამოვედით და ვეღარ შევედით. ჩამოსულები იყვნენ, სვანები.
ჩემი და ქუხდა, ვითომ რაღაცას წარმოადგენდა. ამ დროს ნული იყო, სულ ვიღაცას ეხმარებოდა, ჩვენ გვართმევდა, იმათ აძლევდა. გარედან ისე ჩანდა, რო ჩვენ აი, მაგრად ვიყავით.
მოითხოვეს ფული - ამა და ამ თანხას მომცემ თუ არადა ბინა ჩვენიაო.
კერძო ბინა გვქონდა. სახლში არ ვიყავით, როცა შევარდნენ. კარი წიხლით გააღეს, ავტომატებით იყვნენ. კიტოვანი და ისინი რომ თარეშობდნენ, ის პერიოდი იყო, ვის შეებრძოლებოდი.
მილიციაშიც მივედი, მაგრამ რა დროს ეგ არისო.
ისეთი არეულობა იყო, შენი ჭირიმე, და და ძმა ერთი მეორეს ვერ ცნობდა. დედა შვილს არ აიყვანდა. ეზოში ტყვიებს ვკრეფდით, ჩვენს უკან არსენალი იყო, სამხედრო ნაწილი. არსენალიდან ქვემეხებს ესროდნენ მთავრობის სახლს, იქიდან კი ამათ ესროდნენ. ხან ვის შეუვარდებოდა ტყვია სახლში, ხან ვის.
ძალიან მძიმე პერიოდი იყო.

სკოლაშიც ფანჯრები იყო დახვრეტილი ამ ნატყვიარებით.
ჰოდა, გამოვედით, გავერიდეთ ვითომ.
გამოვედი და გამოვედი.
29 წელია ასე გაუბედურებული დავდივარ.

მერე წავედით, ჩემი ქმრის ძმაკაცს ბინა ჰქონდა დიდ დიღომში და გვითხრა, დროებით იყავით, სანამ დამჭირდებაო.
ერთი 5 წელი იქ ვიყავით და მერე დავიწყეთ ქირით ცხოვრება.
ასე, მოვდივარ და მოვტირი.

მესამე წელი დაიწყო, რაც აქ ვარ. საშინელი მდგომარეობაა, უსაშინელესი, ასეთი ხალხი ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს.
ეს რა ხალხია. ბავშვები უკვე ჩამოყალიბებული დამნაშავეები არიან. მშობლები ელემენტარულს არ ასწავლიან.

აქ ვეღარ ვმუშაობ, ნერვები უკვე აღარა მაქვს.
რაც დაავადებები მქონდა, ორჯერ იმდენი დამემატა.
ძალიან რთულია, ძალიან.
ახლა რა არის იცით, ხელშეკრულებით ვარ აქ შემოსული, ხომ შეეძლოთ გამონაკლისი დაეშვათ და ხელშეკრულებითვე ქირით გავეყვანე.
ვერ შევაგნებინე.
ბოდიში და ფეხებზე ჰკიდიათ ხალხი.
ყველას გაიგივება არ შეიძლება.
ვერ ვმუშაობ ამ პირობებში.
ბუმბულით ვაკეთებ ნახატებს, ფერად - ფერადი ბუმბულით

ვხატავ. რთული საქმეა. იცით, რამდენი იდეა მოკვდა. იდეა რომ მომდის, შეიძლება ორი წელი არ დავხატო. დემეტრე თავდადებულისთვის სამი წელი ვემზადებოდი. ასე უცბად არ ხდება.
ეს ნახატები ძირითადად ფარშევანგის ბუმბულისგანაა. ერთი პიროვნებაა, რომელსაც ეგზოტიკური ფრინველები ჰყავს და იქიდან მომაქვს ხოლმე. მომვლელმა ქალბატონმა იცის და მიგროვებს. დიდი ეზო აქვთ, სამსართულიანი სახლი და ხოხბები ჰყავთ სამნაირი, ოთხნაირი. სტუმრები რომ მიუვათ, დაკლავენ და ჩახოხბილს ამზადებენ.

ბუმბულით მუშაობას ბევრი რამ უნდა, სათანადო გარემოც უნდა.
აქ ხელ - ფეხ შეკრული ვარ. ვერაფერს ვაკეთებ.
აქედან გასვლაც ძნელია, ტაქსის უამრავი ფული უნდა. ვერსად გავდივარ.
არ ვიცი ახლა რა იქნება.

პენსია არ მყოფნის. დღეს ავიღე, ერთი წამალი ვიყიდე დანარჩენი საჭმელი. და დამთავრდა. ყოველი მეორე ანალიზი 35 ლარი ღირს, 75 ლარი გულის. 240 ლარი არის პენსია. იქიდან გამოტანილი მაქვს 1000 ლარი სესხი. აქ რომ შემოგვიყვანეს, ყველაფერი ფარღალალა იყო. გამოვიტანე 1000 ლარი სესხი, ეს შუშაბანდი გავაკეთე, გაზი შემოვიყვანე. ყველაფერი ფუჭდება. ნათურა ხან ინთება, ხან არ ინთება, ატმორი გადამეწვა. ახალი ვიყიდე, კიდევ გადამეწვა. გიფსო - კარდონია კედლები, გიფსო - კარდონი.

იცი რა საშინელებაა?
აქედან - იქიდან, რასაც ლაპარაკობენ ისმის.
ახლა ღამე. აქედან ეს ხვრინავს, იქიდან ის ხვრინავს. ღამე არ მძინავს.
ძალიან ხმაურია.

აქ ბევრს აწყობს, რომ ეს ფართები დაუმტკიცონ. მე არ მინდა. რად მინდა. ჯერ რა გიფსო - კარდონია, რა საღებავით არის, კიბოს აჩენს.
იქით ვინც წევს, კედლის იქით, ინვალიდი კაცია, ეწევა ღამ - ღამობით, ყარს ეს კედელი.

ვერსად ვერ წავალ. თუ ამათ არ გამიყვანეს, მე ჩემით სად უნდა წავიდე.
მერიას ველოდები. სოფელიც კი არა მაქვს.
არაფერი არ გამაჩნია.
თუ რამე მქონდა, ქირაში წამართვეს.
უსახლკარო ვარ.

ირაკლი

მუხრანის თავშესაფარი

მე ორი სიტყვით გეტყვით და თქვენ შეაფასეთ, ღირს თუ არა რამედ ჩემი ამბავი. მე ისეთ ტიპს მივეკუთვნები, შერეკილი ენთუზიასტები რომ არიან.

ქიმიკოსი ვარ.

ინსტიტუტი რომ დავამთავრე, გეპეი, ახლა უნივერსიტეტია, ერთი-ორი წელიწადი აქ ვიყავი და მერე მოსკოვში წავედი. ვმუშაობდი იქ, კვლევით ინსტიტუტში. სახელმწიფო მინის ინსტიტუტი, ასე ეწოდებოდა, მაგრამ იქ ძალიან ფართო მიმართულებები იყო. ჩემი სპეციალობა, მოკლედ რომ ვთქვათ, არის დაკრისტალებული მინები და კერამიკა, კომპოზიტები - განსაკუთრებული კერამიკა ტექნიკური გამოყენებისთვის. ფინჯნები და თეფშები არა მაქვს მხედველობაში. იქ ასპირანტურაში ვიყავი, მერე გამაფორმეს მეცნიერ - თანამშრომლად. ერთ-ერთი მიმართულება დავამუშავე და გადამიყვანეს აკადემიის ინსტიტუტში, მაღალი წნევების ფიზიკის ინსტიტუტში. ჩემი მიმართულება დაკავშირებული იყო მაღალ წნევებთან.

იქ, საერთო ჯამში, 8 წელიწადი ვიმუშავე.

მერე წამოვედი იქიდან, რადგან არეულობები დაიწყო. 89-ში ჩამოვედი. იქ უკვე ისეთი სიტუაცია იყო... კი არ მუშაობდნენ, ერთმანეთში საქმეებს არჩევდნენ. პლუს ჩემი მშობლებიც, როცა ვუკავშირდებოდი, სულ მეუბნებოდნენ, როდის ჩამოხვალ, როდის, როდისო.

მთავარი მიზეზი, რატომაც ჩამოვედი, ვიტყოდი, რომ დეგე-

ნერატი ვიყავი და იმიტომაც. ჰაჰაჰა. არა, ნუ, ობიექტური შეფასებები აუცილებელია.

მეუბნებოდნენ - მოითმინე, მოითმინე, დალაგდება ყველაფერი. გავა ერთი წელიწადი, ორი წელიწადი და დალაგდებაო. ნუ წახვალო. წამოვედი.

აქ რომ ჩამოვედით, დაკავშირებულები ვიყავით მეტალურგიის ინსტიტუტთან. საერთოდ, ბევრ ვიღაცასთან, მაგრამ... აქ რომ ჩამოვედი, დაველაპარაკე და ხო, ხო მოდიო. მინდოდა მუშაობის გაგრძელება, მაგრამ აქაც იგივე დაიწყო. არაფერი აღარ გამოდიოდა.

მშობლებთან ერთად ვცხოვრობდი, გვქონდა ბინა. სიტუაცია რომ დავინახე, საერთოდ საქართველოში და ყველგან... ჯერ დედაჩემი რომ გარდაიცვალა, მამაჩემს ვუთხარი, რომ რაღაცა უნდა გვექნა. ინსტიტუტში ხელფასი კი მქონდა, მაგრამ ეს ხელფასი არაფერი იყო. რაღაცა იქნებ მოვახერხო-მეთქი, ვიფიქრე.
გავცვალეთ ჩვენი ბინა, პატარა თანხა დაგვრჩა და ვცდილობდი იმის გამოყენებას, რომ რაღაც სამუშაო მაინც... რამე კონკრეტული გამეკეთებინა. ინსტიტუტი ერთია, კი, იქ მაინც ვაგრძელებდი. მაგრამ, იქნებ ცოტა უფრო რაღაც კონკრეტული... შემოსავალი რომ მეპოვა. ცოტა აზრიანი მაინც რომ ყოფილიყო. ისეთი პერიოდი იყო, რომ კი, მუშაობ ინსტიტუტში, კი, მაგრამ, მე ხომ ვიცოდი, რომ ამას გაგრძელება აღარ ექნებოდა.

საერთოდ, მეცნიერ - თანამშრომელი თუ მუშაკი, სასაცილო რაღაცად იქცა. თუმცა მე ინსტიტუტში თანამშრომლებთან ძალზე კარგი დამოკიდებულება მქონდა, მშვენიერი, კი ბატონო, ძალიან ძმაკაცურად ვიყავით, ერთმანეთს კარგად ვუგებდით. მაგრამ ვხედავდი, რომ არ გამოდის. კი, ვიქნები იქ, რაღაცას გავაკეთებთ, მაგრამ შედეგი რა იქნება, სად წავა ეს ყველაფერი... რა გამოვა აქედან.

რეალურად უკვე მეცნიერება აღარ იყო საჭირო. ვსინჯე ყველგან, ყველაფერი. მაგრამ, მარტო ფული მეხარჯებოდა. მქონდა მე ჩემი რამდენიმე გამოგონება, პროექტი, აჯობებს ასე ვთქვათ. ეს პროექტი მინდოდა გამეკეთებინა. დამეწყო, ყოველ შემთხვევაში. ვცადე. რაც შემეძლო, ჩემი ძალებით და სახსრებით, მაგრამ მერე ჩაკეტილი იყო ყველაფერი. მე კი მილიონერი არ ვიყავი.

მოკლედ, ეს ფულიც ნელ-ნელა იხარჯებოდა.

ბოლო იყო იმ საუკუნის. ამ საუკუნის დასაწყისი, თუ პირველი წლები.

მერე ვიფიქრე, იქნებ რამე მარტივი გავაკეთო-მეთქი, რასაც არ ჭირდება ინსტიტუტები და ბევრი არაფერი. თურქეთშიც წავედი, რომ ცოტა პრაქტიკული რამე მეპოვა. პროექტი კვების მრეწველობას ეხებოდა და იქნებ რამე ყოფილიყო იქ. კიდევ ერთი პროექტი მქონდა, ისიც მინდოდა დამექოქა. უნივერსალური პატარა თვითმფრინავი, რომელსაც ასაფრენი ბილიკი არ სჭირდება. მთიანი ადგილებისთვის, როგორიც ძალიან ბევრია საქართველოში. არც აეროდრომი სჭირდება, არც არაფერი. იქაც არაფერი გამომივიდა. მე მქონდა გაკეთებული სქემა. პროექტს ბევრი რამე სჭირდე-

ბა. მე მხოლოდ სქემა მქონდა. სქემა, რომელიც, გამოდგებოდა აქ, ძალიან კარგად გაკეთებული.
ეს თვითმფრინავი იქნებოდა როგორც სამგზავრო, ასევე საბარგო. 6 ადამიანზე იყო გათვლილი. სქემა თვითონ ისეთი იყო, რომ ადვილად გადაკეთდებოდა. ეს ცოტა ფანტასტიკურად შეიძლება ჟღერდეს, მაგრამ ესეც იყო.

კიდევ, მიკრო ჰესების იდეა მქონდა. საქართველოში არამც და არამც არ შეიძლება, არ შეიძლება კი არა, არ არის მიზანშეწონილი დიდი ჰესები, დიდი წყალსაცავები. არ შეიძლება. იქიდან, კავკასიონიდან იმდენი ენერგია ჩამოდის. იმდენი ენერგია ჩამოაქვს წყალს, რომ... მიკროჰესები რომ გაკეთდეს... მაგალითიც მოვუყვანე. ავსტრალიაში მიკროჰესები მთლიანად ამარაგებს ერთ შტატს. საქართველოში მიკროკლიმატია და დიდი ჰესებით უხეშად ჩარევა არასწორია.

გამომელია ფული. მერე მამაჩემიც გარდაიცვალა და ის სახლიც გავყიდე, ქირით ვიქნები და იქნებ გამოვიდეს რამემეთქი. ან ის, ან ეს. ბოლო - ბოლო ფული გამითავდა, ვერაფერი ვერ შევძელი.

არავის ეს არ აინტერესებდა. ერთადერთი, რაც ყველას აინტერესებდა, მაყუთი საიდან მოეღუნათ. მე მაინც ბოლომდე, ბოლომდე... ბოლო კაპიკებამდე ვცდილობდი. პატარა რაღაცა მაინც... ბევრს ვთავაზობდი სხვადასხვა იდეას.
ექსპერიმენტებსაც მე თვითონ ვაკეთებდი, ვყიდულობდი

ამას, იმას. მეკითხებოდნენ, გამზადებული გაქვს რამე? როგორ მექნებოდა გამზადებული.
პატენტი მაქვს მაღალი წნევის შექმნაზე ხელოვნურ პირობებში, კი, კი, ეს მაქვს, ეს პატენტია.
მერე, ამ მიკროჰესებთან დაკავშირებით გამაცნეს ერთი ინჟინერი. არ მახსოვს მისი სახელი და არც მჭირდება, რომ მახსოვდეს. ავუხსენი ყველაფერი სქემატურად. მე ვცდილობდი, რაღაც გონივრული დამესახა, ავუხსენი, სქემაც მივეცი. აუ, ირაკლი, მაგას ხომ ადგილის მოძებნა უნდა, მდინარეების მოძებნა სჭირდება. მერე, ეს ხომ საერთო სისტემაში უნდა შევიდეს... იქ ქვესადგურებია... კი, კი ბატონო, ხო. მაგასაც ვცდილობდი ამეხსნა და ბოლოს მითხრა - ირაკლი, მერე ამდენი მავთულები ხომ გასაჭიმი იქნება. და ეს რომ მოვისმინე, ვუთხარი - ხო, ხო, აბა, მავთულები იქნება გასაჭიმი, ეს როგორ გამომრჩა - მეთქი.
მერე აღარც ვესალმებოდი. ერთხელ კი შემხვდა - ირაკლი, ირაკლი, მოდი, სალაპარაკო მაქვსო. მე ვუთხარი, მეჩქარება, ბოდიში, სხვა დროს-მეთქი. ასეთ რაღაცას რომ გეტყვის წამყვანი ინჟინერი, ეს შეიძლება სკოლის მოწაფემ გითხრას... ძალიან ბევრია ასეთი ცირკი.
ბოლო - ბოლო დავიღალე. ისე დავიღალე...
საპატენტოში ერთს ვიცნობდი. იმანაც მითხრა, ბოლო წლებში არავის არ სჭირდება გამოგონებები, არც ტექნოლოგიებიო - არაფერიო.
მერე უკვე დეპრესიები დამეწყო. ფული მელეოდა ისევ. ქირით ვცხოვრობდი.
აღარ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა. ერთი პერიოდი მხო-

ლოდ პენსიით ვცხოვრობდი. სადაც ვცხოვრობდი, მიშენება იყო და ქალმა მითხრა, პატრონმა, ეს უნდა დავანგრიოთო. გავიკითხე, გამოვიკითხე ბინები და ყველაზე უბრალოსაც კი, 200-ზე ნაკლებად ვერ იშოვიო. ამ პენსიით რა უნდა მექნა, როგორ... სხვა შემოსავალი თითქმის არ მქონდა. საპატენ-ტოს წელიწადში ერთხელ შეიძლება პატარა რაღაცა, 200-300 ლარი ჩაერიცხა. ბოლო დროს უკვე აღარც ვაკითხავდი. დეპრესიაში რომ ვიყავი, დავდიოდი, ვსეირნობდი. იმ დღე-საც დავდიოდი, დავდიოდი, ავიღე ერთი ქილა ლუდი და მე-რე აღარც მახსოვს... თავში ჩამარტყეს რაღაც და, რაც ფუ-ლი მქონდა ისიც წამართვეს.

ნახევარი წელი რობინზონ კრუზოსავით ვიყავი, გარეთ გა-ხედვაც არ მინდოდა. იშვიათად გავდიოდი ხოლმე. უკვე აღარ მქონდა არაფერი. პროდუქტები რომ მეყიდა, შორს დავდიოდი, ზედმეტი 20 კაპიკი, 30 კაპიკი ჩემთვის ეკონო-მია გამოდიოდა. ფაქტობრივად, ეს იყო ბრძოლა გადარჩე-ნისთვის. борьба за выживание.

მერე დავიწყე მოთხრობების წერა.

ავადმყოფობასავით მაქვს, არ შემიძლია ისე ვიჯდე, არა-ფერი ვაკეთო. მოთხრობების წერა დავიწყე, პატარ-პატარა მოთხრობების. ადრე მუსიკასაც ვწერდი, მაგრამ მერე პია-ნინო რომ გავყიდეთ...

მე ვერ ვჩერდები უბრალოდ. ენთუზიასტი ვარ.

ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ჭკუაზე არ შევშლილვარ, სამწუ-ხაროდ, რადგან მე მგონი ისინი ყველაზე ბედნიერი ხალხია.

მარინა

ლილოს თავშესაფარი

დავიბადე თბილისში, 1957 წელს, სამ აგვისტოს, გოგოლის ქუჩაზე. დავამთავრე რუსული სკოლა, მერე ტექნიკუმი. გათხოვილი ვიყავი და შვილი მყავდა. შვილი დამეღუპა და ახლა ვარ ასე.

ვცხოვრობდი, ჩემი სახლი მქონდა, კარი მქონდა და მერე ისე მოხდა, რომ გავყიდე.

არც ბანკში არ ჩამიდია, არც არსად. ფული მჭირდებოდა და გავყიდე. დედა მყავდა ავად. მერე დედა გარდაიცვალა და მომიწია ბინის გაყიდვა. მას შემდეგ ვმუშაობდი და ვცხოვრობდი ქირით. ხან დასთან ვიყავი, ხან ქირით, ხან ისა და ასე გავიდა წლები. რომ გაჭირდა ყველაფერი, ვეღარ ვიხდიდი ქირას და ახლობელმა მომასწავლა აქ. ორ წელიწად ნახევარია აქა ვარ.

ალბათ, ერთი ოცდაათი წლის წინ იყო ეს. არც ბანკში, არც არავის გამო, მე თვითონ. არაფერი, უბრალოდ გავყიდე. ოჯახური პირობების გამო გავყიდე, მერე ვიყიდე, მერე კიდევ გავყიდე. ვაპირებდი წასვლას ევროპაში, მაშინ პირველი ეტაპი იყო, შევარდნაძის დრო იყო, მოკლედ.

გავაკეთე ყველაფერი - ვიზა, ისა... და კაკრაზ, მაგ დროს შევარდნაძემ გამოაცხადა, რომ მე ლტოლვილები არ მყავსო და არ მიგვიღეს. ანუ, არ მიგვიღეს ევროპაში. რაღაც ბრძანება გასცა და რომ მივედით იტალიის საზღვარზე, უკან დაგვაბრუნეს საქართველოს ხალხი. შენახული მაქვს ეგ პასპორტი, ვიზა ჩარტყმული. ბინა გავყიდე, ფონიჭალაში

ვცხოვრობდი, ზემო ფონიჭალაში. გავყიდე ყველაფერი. საზღვრამდე მივედით და უკან დაგვაბრუნეს. ასე დავკარგე ბინაც და ფულიც. რა თქმა უნდა, აბა ფულს ვინღა დამიბრუნებდა. იმის ბრალი ხომ არ იყო, ვინც წაგვიყვანა.

იქ ჩემი ძმის ცოლი ცხოვრობს, დღესაც იქ ცხოვრობს. ის უნდა დამხვედროდა და ვიცხოვრებდი, ვიმუშავებდი. იქიდან კი ძმის ცოლი რაღაცით დამეხმარა, დღესაც მეხმარებიან. ჩემი დაც საფრანგეთში ცხოვრობს.

გავაგრძელე ქირით ცხოვრება.

საერთოდ მკინძავი ვარ, დიღომში იყო ახალი წიგნების ფაბრიკა და ცოტა ხანი იქ ვმუშაობდი. მერე პარალელურად მდივნის კურსები დავამთავრე და ვმუშაობდი მდივნად. ელბაქიძეზე რაღაც ავტო ქარხანაა, ეხლაც არის მე მგონი ეგ ქარხანა.

მერე, რომ აირია, დაირია, ხან ბაზრობებზე ვმუშაობდი, ხან ოჯახებში.

მერე თურქეთში. თხუთმეტდღიანი რომ იყო, დავდიოდით. თხუთმეტდღიანი ვიზები იყო. ჯართს ვაგროვებდით და იქ ვაბარებდით. აქედან მიგვქონდა ყავის მადუღარები, ძველი პლასკაგუფცები, ლურსმნები... ორი სუმკა, სამი სუმკა წვრილმანი ჯართი მიგვქონდა. გოგოები მივდიოდით, ვაბარებდით. საფქვავები ძალიან უნდოდათ, ძალიან. ლურსმნებს, აი ჟანგიან ლურსმნებსაც კი ყიდულობდნენ. მთელ ჩემს საგვარეულოს ვხვეტავდი და მიგვქონდა. იქ ყიდულობდნენ. ბაზრობა იყო ისეთი რო. სტამბულშიც ჩავდიოდით, მთელი თურქეთი მაქვს მოვლილი. აბა, ახლა წაუღე თურქებს ჟანგიანი ლურსმანი. ჩვენზე ჭკვიანები აღმოჩნდნენ.

ასე ვშოულობდით ცოტ-ცოტას. მერე უკვე ენაც შევისწავ-ლე, ოჯახებში მოხუცებს ვუვლიდი. აქაც ვუვლიდი მოხუ-ცებს. სამ ოჯახში ვარ ნამუშევარი მე აქ, ბოლოს ბავშვებ-თან ვმუშაობდი. შვიდი წელიწადი ვიმუშავე ოჯახებში და ვიხდიდი ჩემს ქირას. მერე უკვე რომ გაჭირდა, დედი, ყვე-ლაფერი, ნუ, ხომ იცით, როგორ ხდება.

ბოლოს მესამე მასივში ვცხოვრობდი. ახლობელმა დამითმო თავისი ბინა, თვითონ ის გოგო თურქეთში ცხოვრობს. ხოდა, ნუ ეხლა დასჭირდა თავის ბინა. წასასვლელი არსად მქონდა. ახლობელთან ვიყავი ისანზე. ალბათ ბედისწერა იყო, მეტროს-თან რომ პარკია, იქ ვიჯექი და ვფიქრობდი, ეხლა რა უნდა გავაკეთო, სად წავიდე -მეთქი. მომიჯდა ერთი ქალი, ვიღაცას ელაპარაკებოდა ტელეფონზე, თავშესაფარიო, ისაო, ეხლა უნ-და წავიდეო. მოვუბოდიშე და ვკითხე, მე ვუთხარი, რა თავ-შესაფარი? საერთოდ წარმოდგენა არ მქონდა ეს მხარე თუ არსებობდა, თბილისში გაზრდილი ქალი ვარ. ჰოდა, წამიყვანე - მეთქი და კი რატომაც არა, წაგიყვანო, და მომიყვანა.

მართლა სულ მაგაზე გვაქვს ლაპარაკი გოგოებს, რომ მარ-თლა უფალს მადლობა და ჩვენს ადმინისტრაციას და ჩვენს მთავრობას, ვინც არ უნდა იყოს მთავრობა, რომ ასეთი რამ არსებობს. სისუფთავეა და წესრიგია და ყველაფერი.

ეხლა, სახლშიც ხარ ხოლმე უკმაყოფილო ხო? ნუ, ამდენი ხალხი რომ ერთად ცხოვრობთ. ხუთი - ექვსი ქალი ერთ ოთახში. ყველას სხვა და სხვა ხასიათები გვაქვს. გრუბი ვარ ცოტა მე. იმიტომ, რომ მიყვარს წესრიგი. აქ უნდა იდოს ეს, ამის ადგილი აქ არის. ზოგჯერ ვაცნობიერებ რომ არ ვარ ჩემ სახლში.

ნონა

ორხევის საცხოვრისი

ამ 80 ოჯახიდან ვინც აქ ვართ, ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებულია.
ჩვენ არც ბანკის ვალის, არც ჯანმრთელობის, არც არაფრის გამო არ დაგვიკარგავს ბინა.
ჩემი მეუღლე არის საქართველოს მოქალაქე, ეთნიკურად უკრაინელი.
მისი მშობლები ჩამოვიდნენ საქართველოში საცხოვრებლად უკრაინიდან. მამამთილის ოჯახი ძალიან შეძლებული ყოფილა. ჩემი დედამთილი თავშესაფარში ყოფილა გაზრდილი და არ მიიღო ქმრის ოჯახმა. მოსკოვში წავიდნენ და იქ მუშაობდნენ. ვიღაცამ უთხრა, რომ საქართველოში არის ხელშეწყობაო და წამოვიდნენ აქ. მაშინ მისცეს ამ სტილის საცხოვრებელი, ოღონდ, საკუთრებაში არ მიუციათ.
18 წლის ასაკში დავქორწინდით მე და იგორი.
მე ვარ შშმ პირი, პირველი ჯგუფის. ძლიერი ოჯახიდან არ მოვდივარ. დედა ლოგინად იყო ჩავარდნილი. მამამ მიგვატოვა, დედის ავადმყოფობის გამო. მე ვუვლიდი დედას და ძლიერი ნერვული სტრესის შედეგად, თან ამდენი დატვირთვა და 22 წლის ასაკში გამირთულდა მდგომარეობა, ერთი თვალი საერთოდ დავკარგე და ერთი მაქვს მცირედმხედველი, 10 %.
ვეღარც ვისწავლე ამის გამო, იურიდიულზე ვსწავლობდი, თან ბავშვიც გამიჩნდა, დამტოვებელი არავინ მყავდა და მი-

ვატოვე სწავლა.
მე და იგორს ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, ახლაც ძალიან გვიყვარს. ჩემს შვილს სულ ვეუბნები, სადაც სიყვარულია, იქ ხის ძირშიც იცხოვრებ. ოღონდ იგორის გვერდით ვიყო და ჩემთვის არ არის ღირებული არც ოქრო, არც ფული. კარ-ზე რომ აკაკუნებს, როგორც პირველ დღეს შეყვარებული რომ არის ადამიანი, ზუსტად ისეთი გრძნობა მეუფლება. 25 წლის ცოლ-ქმარი ვართ.

იგორმა მამა 6 წლის ასაკში დაკარგა. 15 წლის იყო დედაც დაკარგა. იგორის მშობლებმა ბინა სამსახურიდან მიიღეს. 16 წლის იყო იგორი, პრივატიზაცია რომ წავიდა და 500 დოლარი არის საჭიროო უთხრეს. საიდან მოეტანა 500 დო-ლარი. ადგა და დაცალა.
მე მაშინ უფასო სასადილოში დავდიოდი. იქ ერთი ქალი მუშაობდა, რომელმაც თქვა, მე მანდ 5 ბინა მაქვსო. გოგოს-თვის, ბიჭისთვის, ყველასთვის შევისყიდეო.
უსამართლობაა.
ნეტავ მაშინ ვყოფილიყავით დაქორწინებულები, მე არ დავცლიდი.
ვერავინ ვერ გამომაგდებდა.
ჩემი ქმარი, იგორ კობზარი უსახლკარობაში დაიბადა. მისი შვილიც უსახლკარობაში დაიბადა. როგორ განიცდის იცი, მოსვლა აღარ უნდა აქ.

აქ იგორს არავინ არ იცნობს, დილით გადის ადრე და ღა-მე მოდის. ძალიან პატიოსანი, ძალიან წესიერია. 800 ლა-

რი აქვს ხელფასი, 800 ლარით ბინისთვის დანაზოგს ვერ გააკეთებ. აქამდე სულ ქირით ვიყავით. 22 წელი თბილი წყლით ჭურჭლის გარეცხვა რა იყო, არ ვიცოდი. 2 ოთახი გვქონდა ქირით, არაფერი შიგნით არ იყო, ეზოში ვრეცხავ-დი ჭურჭელს, მაწვიმდა და მათოვდა. 200 ლარად ვქირაობ-დი 2 ოთახს, ჩვენ მეტს ვერ გადავიხდიდით.

აქ ყველაფერი გიფსოსია.
დიდი ქარი იცის, ვარკეთილი, დიღომი, ორხევი ქარით არის ცნობილი.
აქ ყველაფერი ყანყალებს, ჭერი ყანყალებს, ხმაურისგან არ დაგეძინება.
ჩემი ბიჭი ამბობს ხოლმე, მთავრობამ გაგვაციმბირაო.
მუშტი რომ დაარტყა კედელს გაბრაზებულზე, იმტვრევა.
ის აივანი იყო, მერე ამოვაშენე, ბიჭი მეწვა დერეფანში წე-ლიწად ნახევარი. სიკვდილმისჯილს თუ დააწვენ მანდ.
ყველაფერი ისმის გარედან.
სულ ამ ქვეყნიდან გაქცევაზე ფიქრობს. მამა თვალსა და ხელს შუა გახდა 45 წლის და არაფერი არა აქვსო. მეც გავ-ხდები 45 წლის თვალსა და ხელს შუა და არაფერი არ მექ-ნებაო.

ოჯახი, რომ შევქმენით, ასეთ მდგომარეობაში არ ვიყავი. მე ვერ ვმუშაობ. სადაც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და-საქმებული, იქ მე ვერ ვიმუშავებ. მე იმათ ვერ დავეწევი. არსად არ მიღებენ. რაღაც მაინც შემიძლია, ან ჩაწყობა, ან რამე, რასაც არ ჭირდება მხედველობა. სიარულიც პრობლე-

მურია, არსად არ არის ხმოვანი გადასასვლელები, ავტობუ-
სის დაფა რომ ციმციმებს წითლად, მაგას ვხედავ გაჭირვე-
ბით, მაგრამ ძალიან ძნელია. თანასწორობა, თანასწორობა
- სულ იძახიან, ეს არ არის თანასწორობა. მე ეს დამემართა
ძლიერი ნერვული სტრესის შედეგად. ეს ხომ შეიძლება ყვე-
ლას დაემართოს, ვინ რა იცის, ვინ დაყრუვდება, ვინ დაბრ-
მავდება.
არ შევჭრილვარ არსად. მთელი ცხოვრებაა ქირით ვართ და
არსად არ შევჭრილვარ. ჩვენ არ ვიკადრეთ, იგორი კანონს
პატივს სცემს. შეჭრილებს კიდევ უკანონებენ ფართებს. რა
გამოდის, ჩვენ ვიჩაგრებით, არსად რომ არ შევიჭერით.
არის ხალხი ვინც ამაზე ხელი მოითბო. რამდენჯერ დაუ-
რეკავთ ჩემთან, ვიპოვეთ ობიექტი, მერიას რომ ვედავოთ
ამ ფართის გადმოსაცემადო, ფართებს ყიდდნენ 3000-4000
დოლარებად. და მოდიო, უფასოდ შეგიყვანთ, შენნაირები
გვაწყობსო, რომ მერიას ვუთხრათ შშმ პირები არიან აქ.
ვეუბნებოდი იგორს და ჩემს შვილს, იქნებ მივიდეთ და ჩვენც
მივიღოთ და დავიკანონოთ პატარა ფართი. სულ უარს მე-
უბნებოდნენ. არაო. აბა, ჩვენ ისევ იგივე მდგომარეობაში
ვართ და იმ შეჭრილმა ხალხმა დაიკანონა სახლი.

აქ საშიშია.
ბევრია აქ თავზეხელაღებული. ერთმანეთში მოსდით ჩხუბი
კამათი. მეც შშმ პირი ვარ, მაგრამ განსხვავება ხომ არის.
აქ შეურაცხადებიც არიან. ალბათ, 20 იქნება ფსიქიკურად
დაავადებული. გაჭედავენ ხოლმე და ყვირიან, გადავწვავ
ყველაფერსო, მართლა რომ გადაწვან, რა ვქნა. იგინები-

ან, გაიყვანეთ ეს ინვალიდები აქედანო, ყვირიან. რამე რომ უთხრა, გიჟი ხარო.
ამბობენ, ლარად, სიმბოლურ ფასად გადმოგვცემენო ამ ფართებსო. მე არ მინდა, სოციალური სამსახური და დაცვა ხომ წავა მერე და მე ამათი იმედი მაქვს.
შორია, მივარდნილი ადგილია.
ვერც სამსახური გექნება აქედან, ვერაფერი.
ქარში კედლები ღრიჭინებენ.
კარავია. ქაღალდის სახლია.

ზოგჯერ მგონია, რომ რაღაც დავაშავე, ციხისთვის ვერ გამიმეტა სახელმწიფომ და აქ გამომიშვა.

მზია

ლილოს თავშესაფარი

მე ვარ გაჩეჩილაძე მზია. დარდით სავსე მაქვს გული, დედა. უკვე ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ... და საერთოდ ძალიან ვდარდობ ჩემს განვლილ ცხოვრებაზე. რო არ გამიმართლა არანაირად. არადა ცუდი ადამიანი არ ვყოფილვარ.
ხელოვანი ვარ, მუსიკალური დავამთავრე, ძლიერი მოსწავ-ლე ვიყავი, ვსწავლობდი.
17 წლის ასაკში მომიტაცა ჩემმა ქმარმა. და ისეთ ოჯახში შევედი, რომ სულ ყველა სვამდა. პათოლოგები იყვნენ.
მე კი უდედოდ გავიზარდე 5 წლიდან. მშობიარობას გადაჰ-ყვა დედაჩემი, ჩემს ძმას. 5 წლის დამტოვა დედამ. ბებიამ და ბაბუამ გაგვზარდეს.
მოვდივარ და მოვტირივარ ჩემს წუთისოფელს, შვილო.
ერთი დღე არ მინახია ბედნიერი, მთვრალი ხალხის გარდა. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ჩემი ქმარი გარდაიცვალა 34 წლის ასაკში, ღვიძლის დაშლით. ცოტა შვილები წამომე-ზარდნენ, დედა, ძლივს დავზარდე. მქონდა სახლი, მქონდა, როგორ არ მქონდა. მაგრამ ისე ძალიან გამიჭირდა 90-იან წლებში, რომ გავყიდე ის სახლი და დავრჩი ორ შვილთან ერთად ქუჩაში. ქუჩაში აღმოვჩნდი.
მერე გამგეობას ვთხოვე დახმარება და მომცეს, შემასახლეს დროებით და დღესაც იქ... ობშიჟიტიაში ვცხოვრობდი მე. 5 წლის წინ წამოვედი, იმიტომ რომ... შვილმა გააგრძელა მა-მამისის ხელობა.
ახალგაზრდობაში ქმარმა მომიღო ბოლო, სიბერეში შვილმა.

გულის ოპერაცია გავიკეთე, შუნტირება გავიკეთე, ინფარ-ქტმა დამარტყა. წლინახევრის მერე, მეორეჯერ დამარ-ტყა ინფარქტმა. 5 სტენტი მიდგას. პროფესორს უკვირს, არ არის ეს ნორმალურიო. ეს თქვენი გული სხვას რომ ჰქონ-დეს, ცოცხალი აღარ იქნებოდაო. თქვენ ცოცხალი ხართო. მაგრამ ვეღარა ვარ, შვილო, კარგად, დარდით.
ბევრჯერ შევქმენი რაღაცა, სულ მთელი ჩემი ცხოვრება ვმუშაობდი, სულ ოჯახებში ვმსახურობდი, მოხუცებს ვუვ-ლიდი, ძიძად ვმუშაობდი.
ხოდა, რამდენჯერ ბუდე შევუქმენი ჩემს გიორგის. მეცოდე-ბოდა. პერიოდულად თავს ანებებდა. ერთი, ორი, სამი თვე. მერე, გადავხედავდი და ისევ დაიწყებდა და თუ დალევდა ერთ ჭიქას, მერე უკვე გადაბმულად 8 თვე სვამდა. ბევრჯერ ვუმკურნალე შვილო, მეწვინა საავადმყოფოში. გამოვიყვან-დი, ისევ დალევდა.
არ არის ეს სალაპარაკო, ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ გაგიზი-არეთ ჩემი დარდი.

ჰოდა, ბევრჯერ კრედიტები გამოვიტანე, კომპიუტერი უყ-ვარს მაგას, მოუკვდეს დედა. ძლივს გადავიხადე იმის კრე-დიტი. მერე კიდევ ფული დამჭირდა, ისევ ბანკიდან გამოვი-ტანე. ახლა იმას ვდარდობ.
მთელი ჩემი ცხოვრება სულ ბანკებს ვიხდიდი. მაგრამ, ბო-ლოს ვეღარ შევძელი გადახდა. კორონა რომ დაიწყო, სამსა-ხურიც დავკარგე, ვიყავი უმუშევარი. მოხუცს ვუვლიდი. სულ მოხუცებს ვუვლიდი. მოხდა ისე, რომ სულ მთლად გავუბე-დურდით. ისიც უმუშევარია, მუდმივი სამუშაო არა აქვს ჩემს

მეორე შვილს. ჩემთვის ყოველთვის პატარაა ჩემი შვილები.
ახლაც ჩემი მთელი პენსია და ყველაფერი... ახლაც ვმუშაობ, შვილო. გზა რომ გაიხსნა, ჩაკეტილები რომ ვიყავით და გზა გაიხსნა, ავტობუსები გამოვიდა, ისევ დავიწყე მუშაობა. აქვე, სოფელ ლილოში. ხელფასი მაქვს დაბალი. მაღალი არც მექნება უკვე არასოდეს, იმდენი ენერგია აღარა მაქვს. ტალახში, წვიმაში დავდივარ იქ სამასი ლარის გულისთვის. სამშაბათი და პარასკევი მასვენებენ. დილის 10-ზე მოდიო, 5-ზე, 6-ის ნახევარზე მოვდივარ უკან.

არცერთ დედას არ ვუსურვებ, გამოცადოს ის, რაც მე გამოვცადე. ექვსჯერ ბუდე შევუქმენი. იქ გაზი დავდგი, ბალონი. ჩვენთან გაზი არ არის გაყვანილი, ავარიული ბინაა. მასივში ადრე, კომუნისტების დროს იყო „დომ ბიტის“ საწყობი. მერე ლტოლვილები შესახლდნენ და ჩვენც იქ შეგვიყვანეს. ორი მეტრა და ოცდაათია სიგანე, დედა, ჯერ არც გვყოფნიდა, შვილთან ერთად ვცხოვრობდი და სმა რომ დაიწყო, დედა, ცოტა აგრესიული გახდა, მოვერიდე და მოვედი აქ, უკვე 5 წელია აქ ვარ, შვილო.
ძალიან მიყვარს აქაურობა. ჩემი ოჯახია. დაიჯერებ? ვაიმე, ღმერთს მადლობა, რომ მე აქ მოვხვდი.
24 დეკემბერს უცებ შვილმა გარეთ გამომაგდო და ისედაც... ადრე, ცული დამარტყა ფეხში და 8 ნაკერი დამადეს. ჭკუას გადავიდა სასმლისგან. ჩემი ცხოვრების მანძილზე, ახლა 45 წლისაა ჩემი შვილი, ჩემი გიორგი, ბევრჯერ მოვახერხე, რომ უფლის სახლში წამეყვანა, დედა. ბეთანიაში მყავდა ორი წელი, მახათას მთაზე, მამა ნიკოლოზთან, 2 წელი. ახ-

ლა ღვთაებაში მყავს, შვილო. შეწყვიტა დალევა. დალევა კი არა, ამასწინათ რომ დამირეკა, სიგარეტსაც თავი დავანებეთ, მითხრა და გამიკვირდა.
ეს ყველაფერი უფლისგან ხდება დედი, ღმერთს მადლობა, ცოცხალი რომ ვარ და ვსუნთქავ. ვევედრები უფალს, ცოტა ხანი ნუ წაიყვანს ჩემს სულს, რომ შვილებს მივხედო.
აქაურობა ძალიან მიყვარს, ჩემი ოჯახია, დირექტორიდან დაწყებული, სოც. მუშაკამდე დამთავრებული. ექიმებიდან დაწყებული, ყველა მიყვარს აბსოლუტურად. ყველას მინდა პატივი ვცე, მაგრამ ხელიდან არაფერი გამომდის, დედა. შვილმაც ვალებში გადამაგდო. ლოთია, პათოლოგი.
ამ ბოლო დროს არაყსაც აღარ სვამდა უკვე. სპირტის დალევა დაიწყო. აფთიაქიდან ფლაკონებით გამოჰქონდა, ასხამდა ბოთლში და ასე სვამდა, მაგას მოუკვდეს დედა, რა გადამატანინა, ნეტა იცოდე. გადაკრავდა ერთ-ორ ჭიქას, ლოგინზე იჯდა. ისედაც არაფერი აღარა მაქვს, დედა. დაიჯერებ, რომ საწოლი მეზობელმა მისცა, თორემ ცემენტზე იწვა, დედა.
საერთოდ არაფერი გამაჩნია. არადა იმდენი ვიმუშავე და იმდენს ვწვალობდი.
რამდენჯერ ბუდე ავუშენე. ყველაფერი ნაყიდი მქონდა.
ყველა დედას უყვარს თავისი შვილი, მაგრამ მე ვგიჟდები ჩემ შვილებზე.
კარგი არაფერი მინახია, დედი.
ხალხმა მითხრა, შენი გათამამებულია ეგაო, ნუ მიგაქვს ნურაფერი, მიატოვეო და დავტოვე მართლაც. თითქმის 6 თვე არ მინახია. ვაი, იმ არ ნახვას, მე რაც განვიცადე. ეხლაც ძალიან მენატრება. ეხლაც მენატრება, ხაჭაპური მინდაო,

დედიო, მცივაო, აქ ცივაო. ბუშლატა მინდა ჩემი, წამომიღეო. თბილი ადიელაო. მინდა, რომ ხელი შევუწყო, აბა რა ვქნა, კიდევ არ გამოიქცეს, სმა არ დაიწყოს. ახლაც ადიელა მიმაქვს, იქ მივდიოდი.

უარესი იყო, რომ მივატოვე. რომ მივედი 6 თვის მერე, გამხდარი, გაუბედურებული, ცემენტზე ეგდო უგონოდ. რომ გავაღვიძე, კრუნჩხვაში ჩავარდა. ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა, რა ნახა. გამოვიძახე სასწრაფო და წავიყვანე. გამოვიყვანე მდგომარეობიდან, ისევ სმა დაიწყო. ახლა თვე ნახევარზე მეტია, ღვთაებაში მყავს, მამა ბენიამინთან. არ ვიცი, იმ კაცმა დააწვინა საავადმყოფოში, უმკურნალა სამი დღე, და ახლა კარგად მყავს და არც ფიქრობს რომ გამოიქცეს. იმიტომ რომ ბევრჯერ გამოქცეულა, ისევ მიდის იქ, თავის ერთ ოთახში. და მათხოვრობა დაიწყო პლუს. დადის, მათხოვრობს და სვამს. ჭამითაც არა ჭამს.

მესამე მასივში დავიბადე, გავიზარდე. სკოლა დავამთავრე, ივლისში ბანკეტი გვქონდა და დეკემბრის 22-ში მომიტაცეს. 74 წელი იყო ალბათ. არ მიყვარდა, ერთ სკოლაში ვსწავლობდით. მე დედა არ მყავდა, დედინაცვალი მყავდა. მამა უძვირფასესი მყავდა და არ შემირიგდა. რომ არ შემირიგდა, დედამთილმაც აღარ მომაქცია ყურადღება, თვალში ამომიღო და მამაშენს არ უნდა სიძედ ჩემი შვილიო, არც მე მინდიხარო.

რომ დავინახავდი, გზაზე მოდიოდა ჩემი ქმარი, ერთი წლით ჩემზე უფროსი იყო, სულ იქით გადავდიოდი ხოლმე. ავარდნილი ტიპი იყო. მაგრამ, მერე ძალიან შემიყვარდა, ჩემი შვილების მამა. ალბათ ყველა ქალი ასეა.

ვცდილობდი, ფეხზე დამეყენებინა, მდგომარეობიდან გამო-

მეყვანა, იმასაც ბევრი ვებრძოლე. ბოლოს ღვიძლი დაეშალა და გარდაიცვალა. რა ნახა იმ საცოდავმა, სულ გათიშული იყო. ახლა შვილი მყავს ასეთ მდგომარეობაში. ძალიან ვდარდობ, დედი, ეტყობა გზის ბოლოში მოვედი, დედი, ეტყობა მეც მალე მოვკვდები.

ბანკის ვალზე ვდარდობ, მივატოვე, დედა. ხალხი მენდობოდა, 3000-მდე გამოვიტანე და შევრცხვი ბოლოს, ვეღარ გადავიხადე, დედა, და ძალიან ვდარდობ, უკვე ერთი წელია ვერ ვიხდი. მირეკავდნენ, მეუბნებოდნენ, მობრძანდიო, ერთი ახალგაზრდა ბიჭი იყო, მითხრა, ქალბატონო, მობრძანდით, მე თქვენ დაგეხმარებითო, რაღაცას ვიზამო, შეიძლება შეემცირებინა პროცენტები ან რაღაცა. ვაპირებდი კიდეც წასვლას, მაგრამ შემეშინდა. რომ მკითხავდნენ, რამდენის გადახდის საშუალება გაქვსო, 20 ლარს ხომ არ ვეტყოდი, დედი.

თამარა

ლილოს თავშესაფარი

დავიბადე 1931 წელს, ქალაქ თბილისში.
აქ დაბადებული და გაზრდილი ვარ, აქ ვმუშაობდი.
კიკვიძის ბაღი როა, კინო საქართველოს ტერიტორიაზე, იქით ვცხოვრობდით. ორწლიანი ტექნიკუმი დავამთავრე, არა ბოდიში, ერთწლიანი. მკერავი გავხდი და სამკერვალოში უნდა მემუშავა. ჰოდა, დავიწყე მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობა.
ჩვენ მაშინ მოსკოვს ვეკუთვნოდით. ორჯერ ორდენი მივიღე მოსკოვიდან სამკერვალოს სახელზე. ტრაბახით არ ვიტყვი, ძალიან კარგი მუშა ვიყავი. ვკერავდი, მეხუთე თანრიგი იყო უმაღლესი, მეხუთე თანრიგზე ვმუშაობდი. ხელფასიც მქონდა და დაფასებაც მქონდა. მაშინ დაფასება იყო. იქ ვიმუშავე მთელი ცხოვრება. სხვაგან არსად არ წავსულვარ, არსად არ მიმუშავია.
ოჯახიც მყავდა - ქმარი, შვილი. ოჯახი კარგი მყავდა. შვილი ერთი მყავდა და ავარიაში მომიკვდა. ავარიაში თირკმელები დაუზიანდა. მაშინ ოთხმოცდაორ წელში არ იყო ის, რომ თირკმელი გადამენერგა. თორემ ჩემს შვილს არ გადავუნერგავდი ჩემს თირკმელას?

პირველად ფაბრიკიდან მომცეს ერთ ოთახიანი ბინა. მერე მეუბნებოდნენ, შენ მოხსნილი არა ხარ აღრიცხვიდან და შენ ბინას კიდევ მიიღებო. გამიხარდა, რახან ბინას მივიღებ და მექნება კიდე ორ ოთახიანი. ორ ოთახიანი მეკუთვნოდა,

იმიტომ რომ სამი სული ვიყავით და სამ სულზე ხომ ორ ოთახიანი იყო. ჩვენმა სამკერვალომ მიიღო ერთ ოთახიანი და სამ ოთახიანი ბინა. თუ გინდა სამ ოთახიანში შეგასახ-ლებთ, მხოლოდო, ერთ ოთახში სხვას შევასახლებთო. არა, ჩემი ერთი ოთახი მირჩევნია საკუთარი მქონდეს - მეთქი. მერე ჩემმა მეუღლემ მიიღო ოთხ ოთახიანი. ოჯახი აღრიცხ-ვაზე ხომ ვიყავით, მეუღლეც კარგად მუშაობდა და მისცეს. ჰოდა, გაიზარდა ჩემი შვილი და მოვიყვანეთ რძალი. თემქა-ზე ვიყავით. ჰოდა, ორი შვილი ეყოლა. ავარიაში რომ მოყვა ჩემი შვილი დარჩა ერთი გოგო 4 წლის და ბიჭი 9 წლის. ხან სად წავიყვანეთ და ხან სად. ვერ მოარჩინეს, ვერაო, არ შეგ-ვიძლიაო. მოსკოვშიც კი არაო. 82 წელში მომიკვდა შვილი. გაიზარდნენ იმის შვილები, დავაქორწინეთ და ყველაფერი. მაგათ მერე ეყოლათ ორ-ორი შვილი, გამიმრავლდნენ და ესე ის ერთი შვილი გამიხდა რვა სული. ვენაცვალე მაღალ ღმერთს. ხო, მერე გოგო რომ გავათხოვეთ, ჩემი შვილიშვი-ლი, სიძე მუშაობდა მაღაზიაში, მიჰქონდა პროდუქტები და ათასი რაღაც. ამარაგებდა მაღაზიას. გადაუბრუნდა მანქანა და სულ ყველაფერი დაემტვრა.

მე ბინა... ბინა ვაჩუქე ჩემს პატარა გოგოსა, შვილიშვილსა, რომ მეთქი შემინახავს ესა და იმის ქმარს ეგრე დაემართა და მე აბა რაღას გავაკეთებდი, ნაჩუქარი ბინა იყო, ხო ვერ წავართმევდი?

აი იპოთეკა თუ რაღაცაა, იქ ჩააბარეს და იქიდან წაართვეს იმასაც ის ბინა.

სოფელში ვიყავი წასული ჩემ დასთან ცოტა ხნით. რომ ჩა-მოვედი იქიდან, ბინა უკვე გაყიდული, ჩამორთმეული იყო.

მივედი, არ ვიცოდი არაფერი. კარს ვაღებ და კარიდან მეძახიან, ჩვენ სხვები ვართ, თქვენი ბინა გაყიდულიაო.
მერე ისინი წავიდნენ თელავში თავის შვილებითა პაპის ბინაში, ქმრის პაპის ბინაში. კისის ხევია, მაგრამ იცით როგორია, ბინას რო მიატოვებენ და აღარ შეუძლიათ გაკეთება აი, ეგეთ ბინაში ცხოვრობენ. მე იმიტომ კი არა, რომ ბინა დავიწუნე, ჩემები სადაც იქნებოდნენ, მეც იქ ვიქნებოდი. კარგად რომ მივლიდა იმიტომ ვაჩუქე ბინა, თორე ხომ არ ვაჩუქებდი.
მივყავდი და არ წავედი. მე ვუთხარი - რომ წამოვიდე თქვენთან და ვიცხოვრო, ცოლი და ქმარი გაიყრებით. იმიტომ, რომ ყოველთვის საყვედურში იქნებით, რომ აი, ბინა გამიყიდე და მე ეხლა ქუჩაში დავრჩი. ასე მეთქი, თქვენ ცოლ-ქმარი გაიყრებით და ჯობია, შვილებო, მე გაგეყაროთ მეთქი. და წავედი. ჯერ მარჯანიშვილზე იყო თავშესაფარი, იქ ვცხოვრობდი ორი წელი.
მერე დედამისმა რომ გაიგო, ჩემმა რძალმა... რუსი იყო, თბილისში დაბადებული და გაზრდილი. დეიდები რომ დაეხოცა, მეტი არავინ ჰყავდათ, ბინა დაუტოვეს რუსეთში და იქ გადავიდა. ჰოდა, იმან რომ გაიგო, მე ქუჩაში ვარ - ქუჩას ეძახიან ეგენი, იმიტომ რომ ოჯახში არა ვარ... ორჯერ ჩამოვიდა და მითხრა დედაო, წამოდიო რა ჩემთანო, არაფერს არ მოგაკლებ, წამოდიო. არ მინდოდა წასვლა. მერე წავიდა, ისევ ჩამოვიდა, წამოდიო და რას ვიზამდი, წავედი.
მე აქედან ისე წავედი, რომ ვიცოდი, მაინც უკან დავბრუნდებოდი. იმას კი ეგონა, იქ დავრჩებოდი. მე იქ არ დავრჩებოდი. ქმარი აქა მყავდა დამარხული და შვილი და როგორ

დავრჩებოდი იქ. ორ წელიწადში ვუთხარი, რომ ჩემ შვილსა ვხედავ სიზმარში, უნდა წავიდე, იქ დავიმარხო - მეთქი.
მეზობელთან ჩამოვედი, ვუთხარი - ნინო შენი ჭირიმე, ოღონდაც ეხლა უნდა ჩამოვიდე და მიმიღებ? თამარა, არა გრცხვენიაო?! ერთ ოთახიანში ხუთი სული ცხოვრობდა, ჩამოვედი მაგასთან.
მერე, წავედი კალაძესთან განცხადება შევიტანე, რომ იქნებ, სადმე რამე ქოხი იყოს -მეთქი, ან რაღაცა შევაკეთო და დავდგე. თორე სად მეცხოვრა? ჩავაბარე განცხადება. სახლში რომ მივედი, მე ვუთხარი, ნინო, განცხადება ჩავაბარე-მეთქი. დაიცა, შენ განცხადება ჩააბარე, მაგრამ მე უკვე ვიცი თავშესაფარიო, გავიგეო. გამოვედით გარეთკენა და ტაქსიში უნდა დავსხდეთ. ესე იგი, ღამე ვარ ჩამოსული და დილით უკვე წამოვედი, რომ მოვძებნო ეს ადგილი. მეუბნება, თამარა, მოდი ცოტა ახალი მანქანით წავიდეთო, რაღა ძველ მანქანაზე დავსხდეთო. იქვე სამი მანქანა იდგა ტაქსი. ნინო მივიდა და უთხრა, რომ ამა და ამ ადგილზე ვართ წასასვლელებიო. ვაიმე, ეგ ადგილი არ ვიციო, მე გასწავლიო. სამხედრო ბიჭი ჰყავს შვილი და მაგისგან ყველა ადგილი იცის.
მძღოლს ეუბნება ნინო, ესაო, აი, ბებო უსახლკაროდ არიო. შვილიშვილმა ბინა გაუყიდაო, როგორც იყო. ჰოდა, ეხლა მიმყავს თავშესაფარშიო. მერე ქუჩაში გყავდათ ეს მოხუცებული ქალიო? არაო, ჩემთან იყოო. დაიცადეთ ერთი ხუთი წუთიო, დავიცადეთ. მაღაზიასთან ვდგავართ და ეხლავე გამოვალო, შევიდა მაღაზიაში. შავი პარკები რომ არის, დიდები, ბოდიში თქვენთან, ნაგავზე ხმარობენ, ისეთი ფორმა

აქ რომ ვედროში ჩააფინო, გამოიტანა ნამცხვრით გავსებუ-
ლი. ბებო ეს ჩემგანაო და ცრემლები წამოსცვივდა.
და მოვხვდი აქა. აქედან, აბა რა ვიცი. აი, აქა ვცხოვრობ.
ძალიან კარგი თავშესაფარია, ცხელი წყალი გვაქვს, ცივი
წყალი გვაქვს, საჭმელი გვაქვს, ქირას არ ვიხდით, პენსია
ჩვენია და რა ვიცი.
აქ, აი აქ, სამკერვალოსავით იყო და პატარა თოჯინებსა
ვკერავდი ნაჭრისას. ვკერავდი და რომ ვკერავდი, თვალებ-
საც ვუკეთებდი ყველაფერს. მაგრამ, ეხლა ველარ ვხედავ
კარგად. ეს თვალი აღარა მაქვს.
ცრემლისგან დალეულა სულ. ის თვალი ხო დამაგრებულია
რაღაცით ხორცთანა, აი ის გალეულა, სულ გალეულა.
ან ცრემლისგან, ან ავარიისგანო, ექიმმა მითხრა.

ლუდმილა
თავშესაფარი მეტრომშენში

ჩემი სახელია ლუდმილა. აქ ჩამოვედი, გავთხოვდი, ქართველს გავყევი ცოლად. პადმასკოვიედან ჩამოვედი, ელექტროსტალიდან. დიდი, კარგი მეტალურგიული ცენტრი იყო. მამაჩემი ძალიან კარგი ადამიანი იყო. ბოლშევიკი, კომუნისტი კი არა, ბოლშევიკი. დედა დიასახლისი, მორწმუნე. 4 და-ძმა ვიყავით. განათლებული ოჯახი გვქონდა. პედაგოგიური განათლება მაქვს მიღებული, დაწყებითი კლასების პედაგოგი ვარ. გავთხოვდი და ჩამოვედი. ჩამომიყვანა ჩემმა ქმარმა, ჩემოდანივით.

მთელი ცხოვრება აქ გავატარე, თბილისში, თბილისთან ახლოს ვცხოვრობდით, გიგანტის დასახლებაში. იქ გვქონდა ჩვენი მეურნეობა. ყველაფერი მეხერხება, ყველაფრის კეთება ვიცი. არ მეტყობა ხომ? ძროხის მოწველაც შემიძლია, ყველის ამოყვანაც, კარაქის, არაჟნის გაკეთება ვიცი. ყველაფერი, მოკლედ, ყველაფერი, რაც მეურნეობასთანაა კავშირში. 25 ძროხა გვყავდა, არაფერი არ გვაკლდა. ვუვლიდი სახლს და ვმუშაობდით, ქმრის მშობლებთან და ძმასთან ერთად ვცხოვრობდით. ბიჭი შეგვეძინა.

ერთ მშვენიერ დღეს ქმარ-შვილი ავარიაში დამეღუპა. და რა გამოვიდა, დავრჩი მარტო. 1985 წელი იყო ალბათ. 15 წლის იყო ჩემი შვილი. რაც გავთხოვდი, სახლის გარდა, არსად მიმუშავია, მეურნეობას ვუვლიდი, ოჯახს ვუვლიდი.

ქმრის მშობლები მოხუცებულები იყვნენ. გარდაიცვალნენ მალე. მერე ჩემი ქმრის ძმამ, ჩემმა მაზლმა სახლიდან ამომწერა.

და დავრჩი ქუჩაში.
ორგანიზებული ქალი ვიყავი, სიცოცხლის მოყვარული. ავ-დექი და სამსახური ვიშოვე. ავტოსადგურზე, ორთაჭალაში. იქ ვმუშაობდი, ალბათ 10-15 წელი ვიმუშავე. იქ ასეთი რამ შემემთხვა, არც ვიცი, როგორ მოვყვე. არა, ისე, ყველაფე-რი კარგად მქონდა სამსახურში, არავისთან მიჩხუბია. მიყ-ვარს ლაპარაკი, ადამიანებთან ურთიერთობა. პირადი ამბა-ვია. მოვყვე საერთოდ? ძალიან პირადია. მე მორწმუნე ვარ, ქრისტიანი ვარ, მართლმადიდებელი. რა თქმა უნდა. ქმრის სიკვდილიდან 5 წელი იყო უკვე გასული. სამსახურში ერთ კაცს მოვეწონე, ტაქსისტი იყო, ბათუმელი. მოკლედ, ერთი სიტყვით, სიყვარული გამოგვივიდა. უკვე დიდი ქალი ვიყა-ვი, პატარა გოგო ხომ არა. ისე მოხდა, რომ არ აღმოჩნდა, ასე ვთქვათ, ჯენტლმენი. ერთ დღესაც მივედი სამსახურში და გავიგე, რომ თურმე იქ ულაპარაკია, მასთან რომ ვიყავი. არ ველოდი.
სამსახურიდან გამოვიქეცი. ძალიან ცუდად გავხდი. თავის მოკვლა გადავწყვიტე. მძიმე იყო, მაგრამ რა მექნა. ვიცოდი, რომ დიღომში ყველაზე მაღალი ხიდი იყო. ყველაზე მაღა-ლი მთელ ქალაქში და იქით წავედი. ღამე, შუაღამისას. მი-ვედი, დავდექი, დიდხანს ვიყურებოდი. წყალს მიზიდულო-ბის ძალა აქვს. ჰოდა, გადავწყვიტე და რა ვქნა, სულელი ვიყავი, მაგრამ ისე მტკიოდა გული, ისე.
და აი, რომ მივხვდი რომ მზად ვარ, სრულიად შემთხვე-ვით, ჩემმა ნაცნობმა ჩამოიარა მანქანით ქმართან ერთად და სილუეტით მიცნო. მოკლედ, ჩამომათრია პარაპეტიდან და წამიყვანა სახლში, სადღაც 3 - 4 თვე თავისთან ვყავდი.

ამ დროს ჩემი ძებნა დაიწყეს. სამსახურიდან მეძებდნენ, მეზობლები ცალკე მეძებდნენ, სად დაიკარგა ქალიო. განაცხადეს პოლიციაში. მე კიდევ ჩემს დაქალთან ერთად სომხეთში წასვლა გადავწყვიტე. ჩავალაგეთ, მივდივართ. აქ არსად არ გამოვჩენილვარ, არავითარი ნიშანი არ მიმიცია არავისთვის, რომ ცოცხალი ვიყავი. არ იყო სწორი.

მოკლედ, წავედით სომხეთში. ჰოდა, გვაჩერებენ საზღვარზე, ძებნაში ვარ, ვინ გამიშვებს. ჩამოვიდა თბილისიდან გამომძიებელი, რომელიც მეძებდა. ისა, ესა.. იმიტომ კი არ დამაკავეს, რომ რაიმე ცუდი ჩავიდინე, იმიტომ რომ, ჩემზე გამოცხადებული იყო ძებნა. ჩაიარა ამ ყველაფერმა. გაარკვიეს რა და როგორ მოხდა. ის კაციც დასაჯეს, როგორც საჭირო იყო.

და გავედი ისევ სამსახურში. მერე გადავედი სხვაგან, უკვე ავტო სადგურში კი აღარ ვმუშაობდი, ისნის პოლიცია რომ არის, იცით? აი, იქ პატარა ფილიალია ავტოვაგზლის. კახეთის ავტობუსებიც იქიდან გადიან. აი იქ, ალბათ სადღაც 5 წელი ვიმუშავე. პატივს მცემდნენ, ყველას ვუყვარდი იმიტომ, რომ მიყვარს ადამიანები, ადამიანებთან ურთიერთობა. ვიყავი ასე, ვმუშაობდი და ქირას ვიხდიდი. ნორმალური შემოსავალი მქონდა. ადამიანურ ბინას ვქირაობდი, არ მიჭირდა, პენსიაც მქონდა და ხელფასიც, დღეში 25 ლარი. ნორმალურად ვიყავი, კიდევ ვიმუშავებდი, რომ არ გავეჩერებინე. 75 წლისამ შევწყვიტე მუშაობა. ახლა 77 წლისა ვარ. ვცდილობ თავს მივხედო, კარგად გამოვიყურებოდე, ფორმაში ვიყო. რატომ უნდა თქვას ვინმემ, რომ რუსია და რანაირად გამოიყურებაო.

75 წლის რომ გავხდი, შემომთავაზეს, კი არ შემომთავაზეს, მითხრეს, რომ არის ასეთი სახლები, მოხუცებისთვის, ვისაც არც არავინ ჰყავს და არც სახლი აქვს. გრძელი რიგებიაო. დავწერე განცხადება, ჩავეწერე რიგში და აქ მოვხვდი. საქართველოს მოქალაქე ვარ და ძალიან მადლიერი ვარ ამ ქვეყნის. პანდემია რომ დაიწყო, აღარც სამსახური მქონდა. გიორგი დამეხმარა ძალიან.

აქ ვარ უკვე წელიწადია. ყველასთან მაქვს ურთიერთობა, ყველასთან. სიცოცხლე ძალიან მიყვარს. სულ რაღაცას ვაკეთებ, სულ ვეხმარები სახლის საქმეებშიც. აი, ორი დღის წინ ვეხმარებოდი ზამთრისთვის მწნილები მოვამზადეთ. მიყვარს საჭმელების კეთება, ქართული საჭმელების კეთება ვიცი.

კი, ჩემი სამშობლო რუსეთია, მაგრამ ჩემი სახლი აქ არის.

დათო

ლილოს თავშესაფარი

დავიბადე თბილისში, 62 წელში. რა ვიცი, მეტი არაფერი. აქ დავამთავრე საშუალო სკოლა. მერე დავამთავრე პარტიის, რა ჯანდაბა ჰქვია, მარქსიზმ - ლენინიზმის უნივერსიტეტი. დავამთავრე ტექნიკუმიც - ავტო მექანიკოსი. იქ, უნივერ-სიტეტში -აგიტაცია-პროპაგანდის ინსტრუქტორი. ნუ, ეს რას ითვალისწინებდა, სადაც იშოვიდი სამსახურს, თუ რაც ერქვა, გეგმა სწორად უნდა მიგეტანა ადამიანებამდე. ნუ, რა ვიცი, ვთქვათ, რაღაცა მოხდა, ვთქვათ მნიშვნელოვანი ფაქტი. ხო, რა ვიცი მე, გინდა პოლიტიკაში, გინდა კოსმოს-ში. ფაქტი, რომელმაც საზოგადოების ინტერესი დაიმსახუ-რა. აი, ეს ფაქტი უნდა მიგეტანა სწორად საზოგადოებამდე. თან, რა თქმა უნდა, იმ იდეოლოგიის გათვალისწინებით.

სხვა რა ვიცი, მაგ განხრით არ მიმუშავია. საღამოს დასწ-რებულზე ვსწავლობდი, ჰოდა, იმ პერიოდში უნდა გემუშა-ვა აუცილებლად. ვმუშაობდი განათლების სამინისტროში, გამოთვლითი ცენტრის სამეურნეო ნაწილის გამგე ვიყავი. ნუ, მერე ამ ეკონომიკურ განხრას გავყევი რა, ისე წავიდა ცხოვრება რო...

გაშორებული ვარ. შვილი მყავს ერთი.

2000 - 2002 წელი, განუკითხაობის და უპატრონობის ეპო-ქა იყო. სამსახური დავკარგე, რაღაც - რაღაც პრობლემები მოხდა და გულზე ვიყავი სერიოზულად სამკურნალო.

მაშინ ელემენტარული ფასდაკლება ან რაღაც ასეთი არ არ-სებობდა. არ არსებობდა არაფერი არც გადაუდებელზე, არც

უბედურ შემთხვევაზე. არაფერი მაგდაგვარი. მიხვიდოდი, კბილი გტკივა? აი ეს ღირს, თმა გაქვს შესასწორებელი? ეს ღირს. ვსო, მორჩა. არ იყო რა, მაგ პერიოდში არაფერი.
ნუ, იძულებული ვიყავი. უმუშევარი დავრჩი. ის წარმოებები დაიკეტა, რომელიც ჩემი იყო. ყველაფერი ამოიკეტა ყველა მხრიდან და იძულებული გავხდი, გამეყიდა სახლი. გული მქონდა როგორ იცი, აი ოთახიდან მეორე ოთახში გასვლის საშუალებას არ მაძლევდა. ნელ-ნელა, ნელ-ნელა სანამ მე გამოვიხედე, ფასებიც გაიქცა. კაკრაზ, რა პერიოდი დაემთხვა იცი? ივერიიდან რომ გამოასახლეს ლტოლვილები. იმათ ხომ დაურიგეს რაღაც თანხა. მე იაფად გავყიდე ბინა. იმათ ფული ხელზე ჰქონდათ და აიწია ფასებმა, აიწია და აღარ დაიწია და დავრჩი ესე.
ოთხ წელიწად ნახევარი გირაოთი ვიყავი. მერე იქ რაღაც პრობლემას პრობლემა მიემატა და... მუშაობით აღარ ვმუშაობდი, მარტო წვრილ-წვრილი რაღაცეები. ხან ჯართი იყო, ხან არაყი გამოჩნდებოდა... ესე რო, კონკრეტული რაღაცა სად იყო? მაშინ ყველა ქარხანა, ყველა ფაბრიკა, ყველა წარმოება, თუკი რამე სუნთქავდა ყველაფერი ამოკეტეს. შენ გაკეთებულს გაყიდინებდნენ და გაკოტრებდნენ სპეციალურად. ჩემი ოფლით, ჩემი ფულით, ჩემი ყველაფრით, ჩემი სახსრებით გაკეთებული, მიმიყვანეს იქამდე, რომ დამეკეტა და წავსულიყავი. ვერმიშელი - მაკარონის წარმოება, სერიოზული წარმოება იყო. დაახლოებით დღე-ღამეში თორმეტი ტონის წარმოებით. მეორე იყო ზეთსახადი მზესუმზირასგან და აი ასე. დამაკეტინეს ორივე.
გირაოთი ვიყავი კაი ხანი, სანამ ის ფულიც არ გაქრა ნელ-

ნელა. ხან ბავშვი ცუდად გახდა, ხან მეუღლეს რაღაცა დასჭირდა, ხან სიდედრ - სიმამრი, ოჯახია...
ბოლოს სრულ ცარიელზე დავრჩი. მონასტრებშიც ვიცხოვრე.
მერე აქ მირჩიეს რა. სამი წელი სექტემბერში შესრულდება, რაც აქ ვარ.
ეს არის ჩემი ამბავი.
ბოდიში, ვერაფრით გაწყენინეთ.

ნოდარი

ლილოს თავშესაფარი

ხელოვანი ვარ, გორის თეატრის მსახიობი ვიყავი ოცდასამი წელიწადი. დავიბადე გორში. 1949 წელს. ვარ სამოცდათორმეტი წლის. ეხლა, ოცდაშვიდში ვხდები. სკოლა დავამთავრე. მერვე კლასში ვიყავი, პირველი როლი რომ ვითამაშე "ბებერ მეზურნეებში". ლილი იოსელიანი იყო მაშინ ჩვენი მთავარი რეჟისორი, ლილის ნამოწაფარი ვარ, ლილის სტუდია მაქვს დამთავრებული. მერე ჯარი მომიწია, რა თქმა უნდა, თეატრიდან წავედი ჯარში. ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, უკვე თეატრში ვმუშაობდი. ჯარის მერე ისევ თეატრში დავბრუნდი, 1990 წლამდე თეატრში ვარ.

რომ წამოვედი მაშინ არეული მდგომარეობა იყო. იქ ტერაქტი მოხდა, პოლიციასთან. თეატრი 1865 წელს არის აშენებული და ჭერმა დაიწია, მერე იქ აღარ შეიძლებოდა სპექტაკლების თამაში. მაშინ წამოვედი, იმიტომ რომ დაიკეტა თეატრი, ხელფასებსაც ვეღარ გვიხდიდნენ.

მერე ვმუშაობდი ამერიკის საელჩოში, მშენებლობაზე. იმ საელჩოში, ახლა რომ პრეზიდენტი ზის. მაშინ იქ იყო საელჩო, ოთხმოცდაათიანებში. თეატრში აღარც დავბრუნდი, იმიტომ რომ, ცოლსაც გავცილდი... მერე რაღაცა... და ნუ, იყო რაღაც მიზეზები, რის გამოც აღარ დავბრუნდი თეატრში. ჩემი ყოფილი მეუღლე მსახიობია დღესაც, ურთიერთობა ჩვეულებრივი გვაქვს, მოგეხსენებათ, ხელოვანი ხალხი როგორია. ზოგმა არც იცის, რომ გაცილებულები ვართ.

სამი შვილი მყავს გარდაცვლილი. ერთი შარშან წინ გარდა-

მეცვალა, ორმოცდაშვიდი წლის. წყალი ჰქონდა ფილტვებში და გულზე გადაუვიდა. მეორე ოცდაცამეტი წლისა იყო, კიბო ჰქონდა. ერთი პატარა დამეღუპა, რვა თვისა იყო, რეზიკო. აი ასე რა. ახლა ერთი გოგო მყავს ესპანეთში, ოთხი შვილი ჰყავს. ქმართან ერთად წავიდა, ორი წელიწადია მადრიდში ცხოვრობს. სიძე მუშაობს და გოგო ვერ მუშაობს, იმიტომ რომ ოთხი შვილი მოსავლელია. მეორე გოგო საბერძნეთშია.

მშენებლობის მერე ვატარებდი ბატონ თამაზ მაღლაკელიძეს. ბანკირი რომ იყო. მაშინ გაერთიანებული ქართული ბანკი იყო, ვანო ჩხარტიშვილი, სიორიძე და მაღლაკელიძე იყო პრეზიდენტი მაშინ. ორი წელი მანდ ვიმუშავე. მერე საგადასახადოში გადავედი, თემურ დათიაშვილს ვატარებდი რვა წელიწადი.

მეორე მეუღლე რომ გარდამეცვალა, ის ბინა ჩადებული მქონდა და ვეღარ გამოვისყიდე. აი, შვილი რომ კიბოთი მყავდა ავად მაშინ ჩავდე. ოპერაცია, ქიმია, მაშინ ყველაფერი ფული იყო, 2008-ში. მაშინ ჩავდე ბინა და ვეღარ გამოვისყიდე, 25 000 ლარი მქონდა აღებული. ვაშლიჯვარში ვცხოვრობდი. ბინა ბანკმა წაიღო. მერე ქირით ვცხოვრობდი. გარდამეცვალა შვილი, იმაზე წამივიდა ხარჯები, იქ საავადმყოფო იქ ისა, იქ ესა...

რა ვიცი, ქირით ვცხოვრობდი, ხან სად ვმუშაობდი, ხან სად. მშენებლობებზე ვმუშაობდი მეტწილად და იქ დავკარგე მხედველობა. ტრავმა მომივიდა, ბოძი წამექცა და თავში დამეცა პირდაპირ და დავკარგე თვალის ჩინი. ეხლა მე თქვენ ვერა გხედავთ, აი შავი რაც არის, სილუეტებს ვხედავ. ათას

ექიმთან ვიყავი, მაგრამ თავიდან არის და არ ეშველება.
არავის არ მოუცია არაფერი, იმათი ბრალი არ იყო, ჩემი ბრალი იყო. მთვრალი არ ვყოფილვარ, ფხიზელს დამეცა. ვასწორებდით ბოძს და ბიჯგი გავუკეთე, ცოტა ხანი უნდა შევტრიალებულიყავი და ამ მომენტში ეს ბიჯგი გამოძვრა და თავში დამეცა. იმ წუთში კი არ დავკარგე მხედველობა, მას მერე სამი წელი გავიდა და ასე ნელა - ნელა პროცენტე-ბით დამაკლდა. ეს ბოლო სამი თვეა უფრო...
აი ასე. მერე აქ მოვხვდი რა.
ვიცოდი, ეს თავშესაფარი. რომ გამიჭირდა, უკვე სამუშაოც რომ აღარ მქონდა, ბოლოს იქით -აქეთ გავიკითხე და მო-ვედი. თექვსმეტში მოვედი, გუშინწინ გამიხდა ხუთი წელი, რაც აქა ვარ.

ელენა
ორხევის საცხოვრისი

გათხოვილი ვიყავი, 4 შვილი მყავს.
როცა გავთხოვდი, მეუღლეს ჰქონდა ბინა, ავჭალაში.
ავარიული კორპუსი იყო.
ტიტანიკის კორპუსი რომ ჰქვია.
ჩავიდა ნახევარი მხარე მიწაში.
ჩვენ ავარიულ მხარეს მოვხვდით და გამოგვასახლეს.
მაშინ ძალიან ცოტა თანხა გადაიხადეს.
ორი ძმა იყო, მშობლები.
ვერანაირად ბინა ვერ ვიყიდეთ.
ვიგირავეთ.
გირაოდან გირაოში გადასვლით ის ფული გაუფასურდა.
ასე დავრჩი უბინაოდ.
მერე მალე დავშორდი ქმარს. წავედი ქირით. ქირას სოციალურით ვიხდიდი, ვმუშაობდი კიდეც, ძიძად ვმუშაობდი, სოციალური ქირაში მიდიოდა და ძიძობით ვცხოვრობდი. ვკერავდი კიდეც, ეხლა თვალები აღარ მიწყობს ხელს. დღე და ღამეს ვასწორებდი, სახლში რომ მომეტანა. თეთრეულს ვკერავდი, რომ ორი კაპიკი გამეკეთებინა.

მერე, 2008 წელს, ვარკეთილში რომ შეასახლეს, სოციალურ საცხოვრისში, იქაც მქონდა დაწერილი და ბოლო დღემდე ვიცოდი, რომ მეკუთვნოდა და ვიყავი სიაში. ბოლოს, ჩემი ბარგით რომ მივედი, ველარ მოვხვდი და დავრჩი ისევ ქუჩაში. დღემდე არ ვიცი, რატომ. ბევრი იყო ჩემნაირი.

2008 წლის ომის მერე დევნილები იყვნენ, იქვე, საბავშვო ბაღში შესულები და ერთ-ერთმა ოჯახმა ერთი ოთახია ცარიელიო, მითხრეს. შევეცოდე, ბავშვებით ვიყავი, ოქტომბერი იყო, მაგრამ ციოდა გარეთ. პატარა ოთახი იყო, არაფერი, ასეთი გრძელი ოთახი იყო და ფანჯარა ჰქონდა მარტო. თუ შეხვალ, დროებითო, ჩვენ წეროვანში გადაგვიყვანენო და მერე დაგითმობთო. შევედი, რა მექნა. ქირას ვერ ვიხდიდი, სოციალურიც გაჩერებული მქონდა ამ ბინების შეცვლა - შეცვლაში და ქუჩაში ვიყავი.

იქიდანაც მთელი ომით გამოგვასახლეს. დიდი ამბავი იყო, მთელი ისანი-სამგორი- აეროპორტი იქ იყო. 12 ოჯახს გვასახლებდნენ. ბოლოს პოლიციის ძალით გამოგვიყვანეს.

წავედი ისევ ქირით.

ორი ღამე ვიყავით გარეთ. ვარკეთილში, სადაც ქირით ვცხოვრობდი, ძალიან ცუდი ხაზეიკა გვყავდა, სტუმარი ვერ მოდიოდა. დედაჩემიც კი. ვმალავდი დედაჩემს. ერთი თვე ვერ გადავიხადეთ, სოციალური გამიჩერეს და გამომიყარა გარეთ ყველაფერი და დავრჩი მაშინ ქუჩაში. მერე ბავშვის ნათლიამ შეგვიფარა ცოტა ხნით. თორემ გარეთ ვიყავით.

მერე ისევ განაცხადი დავწერე. სამჯერ რომ შევიტანე, უკვე ორხევში გადმოვედი ქირით, დამირეკეს ამაზე.

25 წელი ვიყავი ქირაში, 4 შვილით, მარტო.

აქ არავისთან შეხება არ მაქვს, ვარ ჩემთვის წყნარად.

ბევრი სხვადასხვა ხალხი ცხოვრობს, სულ ჩხუბია. მაგრამ, ქირას რომ არ ვიხდი, მაგათიც ძალიან კმაყოფილი ვარ.

დავიტანჯე ქირით, ხან ვერ ვიხდიდი, რომ ვერ ვიხდიდი, მერე ერთ თვეს გადააცილებ და ორივე ერთად გაქვს გა-

დასახდელი, საიდან მიმეცა ერთად ამდენი. მერე მაცლე-ვინებდნენ ბინას.
ახლა აქ მშვიდად ვარ.
ჩემი ძმა ხელოსანია და მიკეთებს ნელ-ნელა. აქ იატაკი, კედლები გავაკეთე. არ ვჩივი. კედლები კი გიფსოა და ისმის ყველაფერი, მაგრამ ამაზე უარესშიც მიცხოვრია. სულ სარ-დაფში, ფანჯარაც რომ არ ჰქონია.
ახლა აღარ ვმუშაობ, ვენების პრობლემა მაქვს და ფეხზე ვერ ვდგავარ და კაბინეტში მე არავინ დამსვამს. ჩემი გოგო იტალიაშია წასული, იმის შვილს მე ვზრდი დაბადებიდან და ის მეხმარება. იქიდან ის აკეთებს ყველაფერს. რაც არ გვღირსებია, მინდა ახლა გვქონდეს ყველაფერიო.
აქ რამდენს ვმუშაობდით და წინ ვერაფრით ვერ წავედით. კარგად რომ ვიქნები, მანდ არცერთს არ დაგტოვებთო, ამ-ბობს.

აქ ყველა ელოდება, რომ სახლებს მოგვცემენ. ვკითხე დი-რექტორს, რემონტი გავაკეთო, თუ მოგვცემენ რამეს-მეთ-ქი. საყრდენ კედლებს არ შეეხო და რაც გინდა ის გააკეთეო. თქვენიაო, ვიბრძვი, რომ ეგ შეგინარჩუნოთო. მაინც არ სჯე-რა ხალხს. მაინც სადღაც მიდიან, სად მიდიან, არ ვიცი. იმის მადლობელიც უნდა ვიყოთ, ეს ჭერი რომ გვახურავს თავზე. ხალხს სად სძინავს. ქუჩაში რომ გავდივარ, მეტირება, მი-წისქვეშა გადასასვლელებში რომ სძინავს ხალხს, ჩვენ რა გვიჭირს.
მეც ვიყავი მასე, ღია ცის ქვეშ ვიყავი, 4 ბავშვით.
რამდენია კიდევ ჩვენნაირი. კალაძემ რომ გამოაცხადა, ბი-

ნებით დავაკმაყოფილებთ უსახლკაროებსო, ჩვენ ხომ დაკ-მაყოფილებულები ვართ უკვე. ახლა სხვების ჯერია. ისევ დაკმაყოფილებაზე ფიქრობენ. ჭერი გაქვს, არ გაწვიმს, არ გათოვს. სხვისი გასაჭირი არაფრად არ მიაჩნია ამ ხალხს. მარტო თვითონ. რამდენი გაჭირვებულია, ნაგავში რომ იქე-ქება. ღმერთის წყალობით ჭერი გახურავს და საჭმლის ფული ვეღარ უნდა იშოვო?

ბარბარე

ორხევის საცხოვრისი

ჩემმა მშობლებმა იპოთეკაში ჩადეს ბინა, ვეღარ გადაიხადეს.
არ ჰქონდათ ფული, საშუალება და დასჭირდათ ფული.
მამაჩემის ბიცოლა იყო თუ მამიდა, არ მახსოვს, ფული წაიღო და გაქრა.
ვეღარ გადაიხადეს პროცენტები და დაკარგეს ბინა და მერე დავრჩით ქუჩაში.
მერე დედაჩემის დაქალმა ნახა მიტოვებული შენობა, გოსპიტალი, და მანდ შევედით. იქიდან გადმოგვიყვანეს აქ.
იქ პირობები არ გვქონდა, დენი არ გვქონდა, წყალი არ გვქონდა.
არაფერი არ გვქონდა.
და აქ გადმოგვიყვანეს.
აქ ჯობია იმას.

ზინა

ორხევის საცხოვრისი

არაფერი.
ჩემი მეუღლე მუშაობდა მშენებლობაზე.
35 წელიწადი მუშაობდა.
2005 წელში მუშაობის პერიოდში ტრავმა მიიღო, ორივე თვალის ტრავმა.
დენის კაბელები მოხვდა.
დაკარგა მხედველობა.
გავუკეთეთ ბევრი ოპერაცია.
მაშინ არ იყო ეს პოლისები.
სულ ვალებით.
არც სამუშაო ადგილიდან დაგვეხმარა არავინ, არც არსაიდან.
გავუკეთეთ ოპერაციები, მაგრამ უშედეგოდ. ვერანაირი შედეგი ვერ მივიღეთ.
მიეჯაჭვა საწოლს.
ინერვიულა და დაემართა სისხლძარღვების შევიწროება.
ორივე ფეხი აქვს მოკვეთილი, მთლიანად.
მერე ვიყავით ქირით.
გამგეობა გვიხდიდა ქირას.
მიწის ნაკვეთი გვქონდა, საცხოვრებელი არ იყო.
ნათესავმა გვათხოვა რაღაც პერიოდი ბინა და იქ ვცხოვრობდით, მერე ისევ ქირით... ისევ გამგეობა გვიხდიდა.
ავედით მერე აღრიცხვაზე და მოვხვდით აქ.

უმადური უნდა იყო რომ არ შეირგო, რაც მოგვცა მერიამ.
მაგრამ, არის გიფსო - კარდონის კედლები.
ხმაური შემოდის ძალიან.
120 ბავშვი არის აქ.
ისეთი ხმაურია...
ჩემი მეუღლის მდგომარეობა არის გაუსაძლისი აქ. მომვ-ლელს საჭიროებს, მშვიდ გარემოს საჭიროებს. მისი აი, აქ ყოფნა ჩემი საბუთებიდან გამომდინარე, არის დანაშაული, ძალიან დიდი დანაშაული. 35 წელიწადი აშენა კაცმა თბი-ლისი და ვიბრძვი, რამდენი ხანიც შემოვედი, და არანაირი რეაგირება, სასაცილოდ გვიგდებენ. არანაირი რეაგირება.
რას ვითხოვ და ცალკე შესასვლელით სახლს, სადაც არ შეგ-ვაწუხებს ხმაური.
სულ წამლებით არის. სულ.
კალაძემ გამოაცხადა ახლა,რომ 400 ოჯახს გადავცემთ თავშესაფარსო.
იმედი გვაქვს. გვინდა, რომ გავიდეთ აქედან.
შერეული ოჯახები არის, არაადეკვატური. მე რომ გავიდე და ეს კორიდორში დავტოვო, არ მაქვს იმედი, რომ ვიღაცა რამეს არ ესვრის თავში.
ეზოში რომ გავიდე და დავჯდე იქ, იქაც დაუცველები ვართ. ბოთლებს ისვრიან, ქვებს ისვრიან.
სულ უნდა უყურო, რომ რამე არ მოგხვდეს. ისეთი შედე-გებით მთავრდება ხოლმე, ვერავის პასუხს ვერ მოსთხოვ თავის საბუთებიდან გამომდინარე.
ასე ერთი ხელის დაკვრით რომ ყველა შეყარო ერთ ტაფაში, ძალიან დიდი დანაშაულია.

სულ პოლიციაა, სულ ჩხუბია, სულ დავიდარაბაა.

გარეთ რომ გავიყვანო, პანდუსი არა გვაქვს. ძალიან მიჭირს. ოთხი ხუთი კაცი უნდა დაიქირაო, ან უნდა სთხოვო და ზოგჯერ გერიდება. ვერ გამყავს გარეთ ვერანაირად.
აქაურობა არის დროებითი, ორწლიანი ხელშეკრულებით.
ეს სახლი არ არის, მე ამას ვთვლი სასჯელად.
  თითქოს რაღაც დანაშაული ჩავიდინე და მომისაჯეს, ვიხდი იძულებით სასჯელს.
ეს არის რეალობა.

თამარი

მე-8 საავადმყოფო

მე ვარ იპოთეკით დაზარალებული თბილისელი. დიდი ხნის თბილისელები არიან ჩემი ოჯახის წევრები, საბუთებითაც. ერთ დროს გაკულაკებულები.
თბილისური ოჯახიდან ვარ.
მოხდა ისე, რომ... რა ვიცი.
ჯარებში ვმუშაობდი, 12 წელი ორგანოებში ვიმუშავე.
სახლი იპოთეკაში მქონდა ჩადებული.
ჰოდა, დაიკარგა.
ჯანმრთელობის პრობლემები მქონდა, ქრონიკული ჰეპატიტი მაქვს.
რა ვიცი, დავრჩი ასე უსახლკაროდ.
არანაირი ისტერიკებითა და ეგეთებით არ დამიცლია სახლი.
20 დღე მქონდა დარჩენილი, რომ უნდა დამეცალა და იმ 20 დღეში დავცალე.
ვიცოდი, რომ ქუჩაში ვრჩებოდი და თავშესაფარს ვეძებდი. არ ვიყავი ქირის გადამხდელი, ნამდვილად არ ვიყავი. სადღაც უნდა მეპოვა რამე, ბავშვებით რომ არ დავრჩენილიყავი ქუჩაში.
სახლი მიკროსაფინანსოში მქონდა ჩადებული. ბაზის ბანკში ვიხდიდი ფულს, სვის კაპიტალში მქონდა იპოთეკა.

იცი რა არის, არაფერზე არ ვდარდობ და რაღაც. მადლობა უფალს, რომ დღემდე მოვედი. ადამიანად დავრჩი. ჩემი აზ-

რით, ადამიანად დავრჩი, მე მგონი. არ გავბოროტებულვარ, არ მქონია ის, რომ ვიღაცას ჩემზე მეტი აქვს.
ერთი, რაც გავაკეთე, იზოლირებული გავხდი ნათესავებისგანაც, მეგობრებისგანაც. აღარავისთან მქონია კონტაქტი. რა არის იცით, ადამიანებს თვითონ არც კი უცდიათ, ჩემთან კონტაქტის დამყარება. მიუხედავად იმისა, რომ სოც. ქსელები იყო აჭრელებული, ტელევიზიები იყო აჭრელებული. ნუ, ყველგან იყო ჩვენი ამბავი. ასე ვთქვათ, იმ პერიოდის ვარსკვლავები ვიყავით მე და ჩემი შვილები.

სახლი რომ დაკარგული გვქონდა, აქ შემოვედით.
აქ ძაან ბევრი ომები გადავიტანეთ.
პოდნოსით მართლაც არავის მოურთმევია ეს.
ბევრჯერ გამოსახლებაზე იყვნენ მოსულები.
იცით რა არის, არც მეგობარს არც ნათესავს, არავის უქნია რომ... მე მაგალითად ადამიანს რომ უჭირს, გავრბივარ, შეიძლება ვერ დავეხმარო ფინანსურად, შეიძლება, მაგრამ ელემენტარული, რაღაც გზა ვუჩვენო. შეიძლება გამოსავლის პოვნაში მივეხმარო. ბოლო ბოლო ხომ, ხელზე ხელს მოუჭერ ან შეანჯღრევ, ან შემოულაწუნებ და გამოაფხიზლებ. მაგრამ ეტყობა ეს ადამიანური რესურსი არ ჰქონდათ ჩემ გარშემო. ან არასწორ ადამიანებთან მქონდა კონტაქტი.

სად წავედი და ჯერ შევედი საბურთალოზე, თავდაცვის ყოფილ შენობაში. ძაან დანგრეული იყო. ვაკე საბურთალოს გზაზეა. იქ შევედი, სპორტული დარბაზი იყო, ფეხი ჩამივარდა იატაკში, ისე იყო იქაურობა. მივხვდი, ისეთი შრომატე-

ვადი იყო, ვერაფერს ვიზამდი. იმდენი ნაგავი იყო გამოსა-
ტანი, ვერ გავაკეთებდი. მარტო ქალისთვის ცოტა ისეთი
სიტუაცია იყო, რთული. 15 ოჯახი ცხოვრობდა იქ.
მერე წამოვედი. ძველი გამგეობის შენობაში წამოვედი, რომ
შეიჭრნენ, იქ. იმ პერიოდში სულ შეჭრები იყო. წამოვედი.
იქაც რომ შემომესივნენ, მეთქი ჩამქოლავენ, დევნილები
იყვნენ სულ. ადგილები დაკავებული იყო, ყველას თავისი
ჰქონდა და ვიღაცას ხომ არ შეუვარდებოდი, არა.
ჰოდა, მერე მე-15 სკოლაში მივედი, იქაც ანალოგიური სი-
ტუაცია დამხვდა.
და ასე გამოვუყევით აქ, რამდენიმე ოჯახი ვიყავით და გა-
მოვუყევით, მიტოვებულ შენობებს ვეძებდით. ვიცოდი,
ერთი იყო ქვევით და ვეუბნებოდი, კომუნისტების დრო-
იდან დაუსრულებელი შენობა იყო და იქ - მეთქი. მაგრამ
იმასაც ვიძახდი, იქ ფანჯარა არ არის, ის არ არის, ეს არ
არის. კარკასი იყო, რა. სინკარები დალაგებული.
უბრალოდ ერთი ეგ იყო, რომ წვიმა არ ჩამოგვიდოდა.
ღამე მანქანებში გვეძინა. ვიღაცას თუ მანქანა ჰყავდა, ძი-
რითადად ბავშვები იძინებდნენ ხოლმე. უფროსებს სად გვე-
ძინა, არ გვეძინა. გვეძინა კი არა, კაი ხანი, აქაც რომ შემო-
ვედით, კაი ხანი, 26 ადამიანს ერთ ასეთ ოთახში გვეძინა.
ძაან ისე ვიყავით. მაგრამ რა არის იცი, ეს გაჭირვება ამაგ-
რებს ადამიანს. და უფრო მეტი ფიქრის უნარსაც აძლევს,
ადამიანების გარჩევის. რომ გაარჩიოს ადამიანები, თეთრი
შავისგან გაარჩიოს.
ანუ, ყველა სიტყვას დაუკვირდეს და შეცდომა აღარ დაუშვას.

აქ ასე შემოვედით, ჩვეულებრივ.
აქ ძველი გულის კლინიკა იყო.
სულ ღია იყო ყველაფერი. ფანჯრები, კარები არ ჰქონდა.
სულ დანგრეული იყო აქაურობა. ნაგვით სავსე.
2012 წლის 27 ოქტომბერს, 12 - ს აკლდა 15 წუთი აქ რომ შემოვედი.
პირველ სართულზე იყო სასწრაფოები.
შემოვედით, მეორე სართულზე დაიკავა ხალხმა ოთახები და მე არ შემხვდა.
წამოვედი მე-4 სართულზე. მესამე რკინის ბოქლომით იყო ჩაკეტილი, გისოსებით. ან აპარატურა არ ჰქონდეთ ან რაღაც და, რომ შევიდე, ჯერ ისედაც კანონს ვარღვევ და შევიდე და იქ რაღაცები დამხვდეს და მერე მე დამბრალდეს... ვინ რისი გამკეთებელია, ხო, არ ვიცი. და წამოვედი მეოთხეზე.
წამოვედი და სადაც შემოვედი დღემდე ვცხოვრობ აქ.

რამდენი ეგეთი შემთხვევა გვქონია, როცა მოსულან და უთქვამთ, წადითო.
წადით სადაც გინდათო.
სად წახვალთ, ეს სახელმწიფოს პრობლემა არ არისო.
თავშესაფარში მოგცემთო, შემოგვთავაზეს.
ქირას მოგცემთ 6 თვის განმავლობაშიო, ასეთი შემოთავა-ზებაც იყო.
5 წელი აქ უშუქოდ ვიცხოვრეთ. სანთელი რომ გვქონდა, ბედნიერები ვიყავით. სოციალურები არ გვქონდა. სოცი-ალურ აგენტებს არ უშვებდნენ. სასამართლო პროცესი მქონდა, მთელი სამი წელი დავა მქონდა სახელმწიფოსთან

და მოვიგე და დაუშვეს სოციალურები.
კატასტროფა იყო ჩვენი ცხოვრება.
ერთმანეთს ვაჭმევდით, მაგრამ თან არავის არაფერი არ გვქონდა.
ბევრჯერ, დედას გეფიცები, გადაყრილი პური შემომიტანია და ბავშვებისთვის მიჭმევია. დღეს იმიტოა რომ, ძაან სხვანაირად ვუყურებ ამ ყველაფერს.
ვიღაცას რომ უჭირს, ის ჩემი არის თითქოს, ჩემი გასაჭირია. ჩემი ცხოვრება მიდგება წინ.

ადამიანს რაც მეტი აქვს, მეტი უნდა. მაგრამ კმაყოფილი ვარ იმით, რომ ქუჩაში არა ვარ, ჩემს შვილებს მისამართი გააჩნიათ. შენ რომ გამოიარე ცხოვრების რაღაც ეტაპი, აღარ გინდა, შენმა შვილებმა ანალოგიური გამოიარონ.
თორემ მე ვიცი რა არის კარგი. სასტუმრო აჭარის უკან ვცხოვრობდი და 61-ე სკოლა მაქვს დამთავრებული.
ვიცი რა არის კარგი, ვიცი რა არის საუკეთესო ხალხთან ერთად შვილის გაზრდა, იმიტომ რომ ელიტა ცხოვრობდა ჩემს გარშემო.
მე ჩემს შვილებს აქ დღესაც არ ვუშვებ გარეთ. ვინც გინდა ცუდად გაიგოს, ვინც როგორ უნდა გაიგოს. ძალიან იზოლირებულად მყავს და სხვანაირად. მირჩევნია ჩემმა შვილმა წიგნი იკითხოს, ვიდრე გავიდეს და ქუჩაში, გინდაც კორიდორში იყოს.
მე ცოტა სხვანაირად ვფიქრობ.
ახლა აბიტურიენტი მყავს უფროსი ბიჭი და რომ ვერ ვამზადებ, სული მტკივა. იმიტომ, რომ არ წარმომიდგენია, ჩემს

ოჯახში ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, ბავშვს რომ არ ეს-წავლა უნივერსიტეტში.

ახლა არ ვმუშაობ. ხან ვმუშაობ, ხან არ ვმუშაობ. ისეთი სამ-სახური არ მაქვს, რომ სისტემატური ანაზღაურება მქონ-დეს.
მე ვერც მთავრობას დავემდურები სიტყვაზე. მართალია ამ მთავრობის დროს დავკარგე სახლი, მაგრამ ამ მთავრობამ-ვე მომცა სახლი.
ეს ბინა ლარი ოთხმოცად მომყიდეს.
აქ ვინც ვართ, ყველამ დავიკანონეთ ოთახები.
რკინის ნერვები და ცივი გონება დაგვჭირდა, ეს რომ დაგ-ვეკანონებინა.
სხვა გზა არ იყო.
არაფერი არ გვქონდა და ქუჩაში მოგვიწევდა ცხოვრება.

მანანა

ორხევის საცხოვრისი

მე დავკარგე ბინა იმიტომ, რომ ჩემი შვილი დაჭრეს.
სამწუხაროდ, სასწრაფოდ დამჭირდა მაშინ ფული.
ვინაიდან ბანკმა არ მომცა თანხა, კერძო ბანკში ჩავდე.
ბინაც არ იყო, პატარა ოთახი იყო. ეს ოთახი კიდევ დიდია.
მეტრო ისანთან იყო. ჩავდეთ 3000 ლარში. საავადმყოფოს ხარჯების გამო.
ეს პროცენტები ვიხადეთ, ვიხადეთ და ვეღარ გადავიხადეთ.
ეს პროცენტებიც დაგროვდა მერე და ამ 3000 ლარში დავკარგე ბინა.
სამწუხაროდ, დედა კიბოთი მყავდა ავად, სამი შვილი კიდევ.
ვერანაირად ვერ გადავიხადე ეს თანხა და დავკარგე ბინა.
შვილის გამო.
მერე მე ქირით განვაგრძე ცხოვრება, დავინიშნეთ სოციალური. ეს ჩვენი სოციალური სულ ქირაში მიდიოდა. მერე რძალი მოვიყვანე და რძლის მშობლები ცოტა ძლიერები იყვნენ და ისინიც გვიგზავნიდნენ, გვეხმარებოდნენ. კვებით, თორემ ისე სხვანაირად ვერა. მერე ჩემი შვილებიც გაიზარდნენ და გავიდნენ და მუშაობდნენ. ასე რაღაცნაირად ვიკვებებოდით, თორემ მთელი სოციალური დახმარება მიდიოდა ქირაში. სხვა შემოსავალი ჩვენ არაფერი არ გვქონდა.
დღეს, საბედნიეროდ, აქ მოვხვდით. აქედან კიდევ რაღაცას ვცდილობთ, რომ უფლის ნებით, ან იქნებ ჩვენით შევიძინოთ, ან კალაძემ რომ გამოაცხადა, მადლობა უფალს, ეს თუ

იქნება, უსახლკაროები დავკმაყოფილდებით.
თუ არა და, რა ვიცი, იქნებ რაღაც იყოს.
აქ ვერ იცხოვრებ ისე, აქ ოჯახი ვერ გეყოლება და სახლი ვერ იქნება.
აქ რომ დააცემინებ, მეზობელი გეძახის - სიცოცხლე და ჯანმრთელობაო.
საცხოვრებელი ეს არ არის. კიდევ რაღაცას ვცდით, რომ იქ-ნებ რაღაცა გავაკეთო.
აქ რაც მომწონს, ჰაერია. დიაბეტიც მაქვს, ყველაფერი ჩათრეული მაქვს, გული, სისხლძარღვები... აივანი სპეცია-ლურად არ ამოვაშენე, ყველას ამოშენებული აქვს და და-აკვირდით, მე არ ამოვაშენე. გარეთ ვზივარ სულ. თითქმის სულ გარეთ ვარ. ჰაერი ძალიან კარგია აქ.
ერთი სიტყვით, შვილის გამო დავკარგე ბინა.
ჩემი შვილი პირველია და მერე სხვა დანარჩენი.

ბელა

მე-8 საავადმყოფო

მთელი ცხოვრება ვცხოვრობდი ქირით.
სოციალურს მთლიანად ვიხდიდი ქირაში და, ფაქტიურად, არანაირი შემოსავალი არ მქონდა.
მეც მოვხვდი აქ, როგორც სხვები.
სულ ღია იყო ეს შენობა, არც ხალხი ცხოვრობდა, არც არავინ.
სულ თავიდან ხალხი რომ შემოვიდა, ყველა იბრძოდა, რომ ელემენტარული თავშესაფარი ჰქონოდა.
ჩვეულებრივ შემოვედი მეც. ანალოგიურად. სულ ღია იყო და ავაშენე ფანჯრები, გავაკეთე კარები და დავიწყე ცხოვრება.
2012 წელი იყო.
მანამდე ძალიან ბევრგან ვცხოვრობდი ქირით. მამა არა მყავს, ვიზრდებოდი დედასთან. მოხდა უბედური შემთხვევა და დამეღუპა დეიდაშვილი და დავაგირავეთ ბინა და ველარ გამოვიხსენით და დავრჩით ქუჩაში.
იმის მერე ვცხოვრობდით ქირით.
მაშინ იაფი იყო ბინები, ისეთი ბინა არ იყო, რომ ყველაფერი ჰქონოდა. 60-70 ლარად, 100 ლარის ფარგლებში რა უნდა იქირაო? ელემენტარულად რომ დაიძინო და ღამე გაათენო, სხვა არაფერი.
ვერც ვერასოდეს ვერ შევიძენდი ბინას.
იძულებულები ვიყავით, აქ შემოვსულიყავით და გვეცხოვრა.

ახლა პატარა მყავს, 4 წლის და ვერ ვმუშაობ.
ერთი წელია, რაც დავიკანონეთ აქაურობა.
ახლა და ახლა ვაანალიზებთ, რომ ჩვენია.

გზებს ვკეტავდით, მიტინგებს ვაწყობდით. დენი არ გვქონდა. შენობაში არ გვიშვებდნენ, ხან ერთი მხრიდან გვიშენებდნენ და არ გვიშვებდნენ შენობაში, ხან მეორე მხრიდან. ხან ორივე მხარეს გვიშენებდნენ. ხან ყოფილა, რომ გარეთ დარჩენილები ვეღარ შემოვდიოდით, ან შიგნით დარჩენილები გარეთ ვეღარ გამოვდიოდით. ხან მგლებიო და ხან ტურებიო - ვინ აღარ მოგვიყვანეს და დაგვასიეს თავზე. "მგლები" დაცვა იყო, კერძო დაცვა, რომელსაც ეძახდნენ მგლებს. მოდიოდნენ და - ეს კერძო საკუთრებაა და უნდა დატოვოთ შენობაო. ბრძოლით და ომით მაინც მივაღწიეთ ყველაფერს.

რა თქმა უნდა, გვიხარია რომ ბინა გვაქვს. ჩვენი შვილების მომავლისთვის გვიხარია, არ გვეშინია რომ ჩვენი შვილები ქუჩაში იცხოვრებენ და ანალოგიური დაემართებათ.
იმდენად დავიღალეთ ამ ბრძოლით, იმდენად...
საქართველოს მოქალაქეები ვართ და გვაქვს უფლება, რომ არ ვიცხოვროთ ქუჩაში.
თუ ვიცხოვრებთ ქუჩაში და ჩვენი მომავალი გაიზრდება ქუჩაში, არანაირი პერსპექტივა არ გვექნება.

ნინო

მე-8 საავადმყოფო

მე ვიყავი პატიმარი.
როცა გამოვედი, ჩემი მაზლი ცხოვრობდა აქ.
ვიარე გარკვეული პერიოდი, სადღაც თვე ნახევარი.
მერე ვნახე, რომ აქ ერთ ადამიანს ჰქონდა ფართი აღებული და არ მოდიოდა, არ ცხოვრობდა და მე არ მქონდა საცხოვრებელი.
მოვედი ჩვეულებრივად გავტეხე ის კარები, უბრალო ბოქლომი იყო რაღაცა, შევედი და ვიცხოვრე.
ბოლომდე ისე ვიცხოვრე, რომ ის კაცი არც მოსულა. არც მოუკითხავს.

პატიმრობამდე ნახალოვკაში ვცხოვრობდი, დედაჩემის სახლი იყო. ბევრი დედმამიშვილები ვიყავით და ადგილი აღარ იყო იქ რომ მივსულიყავი. 7 წელი და სამი თვე ვიყავი ციხეში.
ხანდახან ვმუშაობ ხოლმე.
მარტო სოციალურით ვერ იარსებებ, ვერ იცხოვრებ. იმდენი კომუნალური გადასახადი მოდის მარტო, რომ ვერ შეწვდები. უნდა იმუშაო. ხან არის მომენტი, რომ მათხოვრულ ხელფასზე მუშაობ, 7 საათიდან 9 საათამდე 15 ლარს რომ გადაგიხდიან. დალაგება, მოხმარება.

ამის დაკანონებაზე ბევრი ბრძოლა გავიარეთ. აქციებს ვაწყობდით. დენი არ გვქონდა ხოლმე და ვიპარავდით

დენს, სინათლე რომ გვქონოდა. ფანჯრებს ჩამოვაბნელებ-
დით, მარტო ტელევიზორი მაინც რომ ჩაგვერთო ხოლმე.
იქ საჭმლის გაკეთებაზე, პლიტების ჩართვაზე და იმაზე არ
იყო ლაპარაკი. ელემენტარული ტელევიზორის შუქზე მა-
ინც ვყოფილიყავით, სანთლის შუქზე ძალიან დავიტანჯეთ.
მე მაგალითად, თვალში სინათლე დამაკლდა სანთლის შუ-
ქის გამო. გაგვითიშავდნენ ხოლმე დენს და კვირაობით არ
გვქონდა. სხვისგან გადმოყვანილი დენიც გვქონია, მერე ვი-
ნაწილებდით ხოლმე დენის გადასახადებს. მერე იმ ხალხსაც
აჯარიმებდნენ და ეს ჯარიმაც ჩვენი შესაკრები იყო ხოლმე.
ესე გაგვქონდა თავი. მერე ვაწყობდით მიტინგებს რომ დე-
ნი მოეცათ, გაზი მოეცათ.
ვითხოვდით, რომ დათანხმებულიყვნენ იმაზე, რომ აქ
გვეცხოვრა. თუ არ ვაკეთებდით, არ ვაფუჭებდით მაინც ამ
ყველაფერს. იმიტომ რომ, აქ რომ შემოვედით, ბეტონი იყო,
წამლის შპრიცები იყო. ნაგვის მეტი არაფერი არ ყოფილა
აქ, ამ კორპუსში.

წყალი კიბეებთან გვქონდა მოყვანილი და იქიდან ვეზიდე-
ბოდით ბალონებით. გირჩებს ვაგროვებდით და რამდენჯერ
ბუნკერებიდან მოგვიტანია შეშა, რომ გავმთბარიყავით.
სიცივეში, ყინვაში, ბეტონში.
ხან პარკებს ვაფენდით ძირს, ზედ ბრეზენტებს ვაფენდით,
მერე ამ ბრეზენტზე ხალიჩას ვაფენდით. ისეთი ცივი იყო
იატაკი.
მადლობა ღმერთს, რომ ახლა ეს მაინც გვაქვს. ერთ გიფსოს
იყიდი, ააკრავ და შენი ჰქვია და ქუჩაში არ დარჩები.

ამდენი წელი ვნერვიულობდით იმაზე, რომ გაგვყრიან, არ გაგვყრიან...
ღამე მოდიოდნენ ხოლმე, შუაღამისას, აბა ხართ თუ არა ხართო, წიხლებით შემოგვინგრევდნენ კარებს.
ამოწმებდნენ აქ ვცხოვრებდით თუ არა.
მართლა ვიყავით თუ არა.

ნატალია
ორხევის საცხოვრისი

დავიბადე ქალაქ თბილისში, 1979 წლის 22 მაისს. ვცხოვრობდი 36-37 წელი ქალაქ რუსთავში. არ დავიჩემებ რომ ვარ თბილისელი, უბრალოდ, ამჟამად აქ ვცხოვრობ. ისე ვარ რუსთაველი. დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი.
მყავს ერთი შვილი, რომელიც არის შშმ პირი. ზუსტად ამის გამო დავკარგე საცხოვრებელი სახლი. დაჭირდა ოპერაცია, დაჭირდა ბევრი მკურნალობა, რისი სახსრებიც ჩვეულებრივ, უბრალო ადამიანს კი არა, ბევრ შეძლებულს არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, გავხდით იძულებული, რომ ბინა ჩაგვედო ბანკში, გაგვეყიდა. ბოლოს აღმოჩნდა ისე, რომ ვეღარ შევძელით ამ თანხის დაფარვა, გადახდა და მოგვიწია გზა - შარაზე დარჩენა.
იძულებული გავხდით, სადმე შეგვეფარებინა თავი. გადავწყვიტეთ, რომ წამოვსულიყავით ისანში, სადაც ჩემი ახლობლები იყვნენ და ვცხოვრობდით გარკვეული პერიოდი ისანში, სამხედრო ჰოსპიტალში.

დიანას, ჩემს გოგოს ჰიდროცეფალია აქვს. მკურნალობამ ის შედეგი არ გამოიღო, რაც უნდა ყოფილიყო. იაშვილის კლინიკაში უმკურნალეს არასწორი მეთოდით, არასწორი მიმართულებით. ახლა უკვე დიანა დიდია და დაგვიანებულია მისი მკურნალობა.

პრობლემა ის არის, რომ ზოგიერთს აბანოში გახსნილი სასწავლებელი აქვს დამთავრებული. არასწორი მეთოდოლოგიით უმკურნალეს ბავშვს. ერთი მეუბნება, რომ წამლებს დაექვემდებარება, მეორე მეუბნება, რომ ოპერაციაა საჭირო. ის იმას მეუბნება, ეს ამას მეუბნება და მე რა გავარკვიო. ვეღარ გავიგე, რა მიმართულებით წავიდე. აღმოჩნდა, რომ ბავშვს საერთოდ სხვა დიაგნოზი აქვს.

აქედან გამომდინარე, ყველაფერი შეეწირა ჩემს შვილს.
ჩვენი ბინა ბანკმა გაყიდა, ვეღარ შევძელით პროცენტის დაფარვა. სადღაც 388 დოლარი იყო შესატანი. მე რომ იქ შემეტანა, რა უნდა მეჭმია, რა უნდა გამეკეთებინა... შეუძლებელი იყო.
საერთოდ არ ვარ მე მატერიალისტი, ეკონომიურ მდგომარეობას ნაკლებად ვუყურებ. ჩვეულებრივად შემეძლო კარავი გამეშალა და იქ მეცხოვრა, მთავარია ჩემი შვილი ყოფილიყო ჯანმრთელი. ფული ჩემთვის არის უბრალოდ საარსებო წყარო.
ასე მოვხვდით აქ. თავს უსახლკაროდ არ ვგრძნობ.

და ოპერაცია რომ უნდა გამეკეთებინა, გარანტია არ მქონდა... თავია, შუნტირებაა... ვეკითხებოდი - თუ მაქვს მე იმის გარანტია, რომ ბავშვი იქნება ნორმალურ მდგომარეობაში. პასუხი - არ ვიცით, დაზღვეულები არ ვართ, ოპერაციის დროს რა მოხდება.
ხელი უნდა მოაწეროთო, თუ რაღაც მოხდა, მე არ უნდა დამადანაშაულოთო. საქმის პროფესიონალი რომ ხარ, ხომ

უნდა იცოდე, რას აკეთებ და როგორ აკეთებ.
საბოლოოდ არ გავუკეთე იმიტომ, რომ „ასე იქნება, ისე იქნება“ ჩემი შვილის სიცოცხლე პროცენტებით გაზომეს, 50/50-ზე. მე ამხელა რისკზე ვერ წავალ.
გონებრივად კარგია, რაღაცა რომ მომხდარიყო, ესეც დაეკარგა და ბავშვი მოეკლათ, მერე? შუნტირება ბევრს აქვს გაკეთებული და ვიცი მე შედეგი. ფულზეც არ იყო, დაფინანსებას როგორმე გავაკეთებდი, კარგი გამგებელი გვყავს, კარგი ხალხი არიან.
გარანტია არ მქონდა. ასე იქნება, ისე იქნება - ვერ მეუბნებოდნენ ზუსტად.
გავაკეთებ, მაგრამ არ ვიცი ოპერაციის დროს რა იქნება - ეს უნდა მიპასუხოს ექიმმა?

ისანში რომ გადავედი, ისნის გამგეობამ ქირა შემოგვთავაზა. შევთანხმდით მე და მეპატრონე, რომ მივცემდი ყოველთვიურად სამას ლარს. სამი წელი, ქირით რომ ვიყავი, ქირა არ გაუწყვეტიათ ჩემთვის, ყოველ თვე, ერთი და იგივე დღეს.
მერე, ბატონ დავითთან, ნარმანიასთან შევიტანე განცხადება და მითხრა, სიტყვას გაძლევ, დაკმაყოფილებული იქნები, რადგან ნამდვილად გეკუთვნისო. და მართლაც აასრულა თავის სიტყვა და 3 წლის მერე დამირეკა, პირადად ბატონმა დავითმა და მითხრა - ნატალია, ასეთი სოციალური საცხოვრისი აშენდა ორხევში და თუკი შენი სურვილი იქნება, იქ გადაგიყვანთო. თუ გინდა, ისევ ქირით იცხოვრეო. მაგრამ მე არ მქონდა იმის გარანტია, რომ... მთავრო-

ბები იცვლება და ერთხელაც რომ ამოიწუროს რესურსი, ან ბიუჯეტში აღარ იყოს... სულ მუდამ გარღვეული აქვთ ეს ბიუჯეტი და აღარ იყოს თანხა, რომ გადამიხადონ ქირა... ამიტომ დავთანხმდი აქ გადმოსვლას.
მოვედი, ვნახე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემთვის სახლს მნიშვნელობა არა აქვს. დავრჩი აქ.

აქ ხმაური მაწუხებს ძალიან. უფრო სწორად ბავშვს აწუხებს. არ არიან შემოწმებულები. ზოგს ფსიქიკური აშლილობა აქვს, ზოგს ეს, ზოგს ის. ყველას ხო ვერ გააკონტროლებ. და ნორმალურ, მოაზროვნე ადამიანთან რომ ფსიქიკურ ავადმყოფს გააჩერებ... რა ვიცი...
მე როცა ამაზე გამოვხატე პრეტენზია, რომ ესენი უნდა იყვნენ იზოლირებულ ადგილზე, რადგან აქვთ გონებრივი დარღვევა, ასე მიპასუხეს - შენ რომ გქონდეს შენი საკუთარი სახლიო და შენი მეზობელი იყოსო, მაშინ რას იზამდიო.

იძულებული ვარ, ყველაფერი მოვითმინო, მაგრამ, ახლა ბატონ კახისთან განცხადება გვქონდა შეტანილი და დაგვპირდა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, აუცილებლად გადმოგეცემათ ბინები თქვენს საკუთრებაშიო. მე მჯერა, იმიტომ რომ ბატონი კახი რასაც დამპირდა, ჩვენმა გამგეობამ ყველაფერი შემისრულა.
კახიც შეგვპირდა, რომ არანაირი პრობლემა არ შეგექმნებათო. ნატა, პირველ რიგში დაკმაყოფილდებიან შშმ პირები და შენი დიანა, რომ მიეცეთ კერძო საკუთრებაში თავისი კუთვნილი ბინაო.

მე ვერ ვახერხებ მუშაობას, ფილოლოგი ვარ და რეპეტიტორადაც ვმუშაობდი, ვამზადებდი ბავშვებს, სკოლაშიც ვიმუშავე. 300 ლარზე ვერ ვიმუშავებ. მე იმდენი ვისწავლე, რომ სამას ლარზე არ ვიმუშავებ. მერე კიდევ, არც მეყოფა. სამას ლარზე რომ ვიმუშაო, სოციალური სტატუსი რაც მაქვს, მოხსნიან. იმიტომ რომ ასეთი კანონებია. სოციალურის ფულადი არა მაქვს, 74 ოჯახიდან ყველაზე ბევრ დენს ვიხდი მე და ამიტომ ფულადი არ მაქვს.
ახლაც შემიძლია, რომ გავასაჩივრო, მაგრამ არ მიღირს ნერვების ფასად ის ასი ლარი. დედა არ მყავს ჩაწერილი სოციალურ საცხოვრისში, არც მამა. ორივე მშობელი მყავს, დედაც და მამაც. ერთი პენსიონერია, მეორეც პენსიონერია და 66 წლის არის მამა და სამ სამსახურში მუშაობს. მამიკოზე ვართ დამოკიდებული, ძალიან შრომისმოყვარე ადამიანია და ელემენტარული არ გვაკლია, ასე რომ, ღმერთმა მიცოცხლოს მშობლები. იდეალური დედ-მამა მყავს. და ამით ვარ ყველაზე ბედნიერი. ამათ ამაგს მე ვერ გადავიხდი მილიონი წელიც რომ ვიცოცხლო.
დიანას განათლება მე მივეცი, რაც შემეძლო.
კომუნიკაბელური ბავშვია, საზოგადოებასთან ურთიერთობაც უყვარს. პოზიტივია თავიდან ბოლომდე. თვითონ სიტყვა ბოროტების მნიშვნელობაც კი არ იცის.
უბრალოდ, ერთი რამ მიკვირსო, შშმ პირი რას ნიშნავსო, კი იცის რასაც ნიშნავს, მაგრამ რომ ვერ დავდივარ იმიტომო?

სახლი გავცვალეთ ბავშვის ჯანმრთელობაში.
და კიდევ გავცვლი თუ მექნება.

ლელა და ბუბა
ორხევის საცხოვრისი

ლელა:
ბუბა 2002 წლის 20 დეკემბერს შემეძინა.
მშვენიერი პატარა ბიჭი იყო. წონით არ იყო მაინცდამაინც დიდი, 3 კილომდე იქნებოდა.
ყველაფერი კარგად იყო, მშვენივრად მიდიოდა.
წლის და 3 თვის ვიყავით აცრა რომ გავიკეთეთ.
მერე ნელა ნელა დაგვეწყო პატარა პრობლემები.
მერე დიეტაზე დავჯექით. ბუბა 8 თვის იყო, როცა დიეტაზე ვიყავით, იმიტომ რომ, წონით დიდი იყო. მერე თანდათანობით დაეწყო ჩაკეცვები. ეს წონას დავაბრალეთ, რახან მსუქანი ბავშვი იყო, მაგრამ მერე აღარ მოგვეწონა.
წავიყვანეთ ექიმთან.
პირველად ვერ გაუგეს. წამლები გამოგვიწერეს რაღაცა. არასწორი მკურნალობა დაუნიშნეს. ამ წამლებისგან შიდა ქალის წნევები დაგვეწყო.
მერე უკვე ქუთაისში წავედით. ძაგნაძე იყო ჩვენი ექიმი, იმან გვითხრა, რომ ბუბას ცერებრალური დამბლა ჰქონდა დაწყებული, არასწორი მკურნალობის გამო. იქაც მკურნალობა დავიწყეთ, მაგრამ დაგვიანებული იყო უკვე.
სენაკში ვმკურნალობდით რამდენი ხანი, ხან სიმსუქნეო, ხან სახსრებიო. და ამ არასწორმა მკურნალობამ გამოიღო ცუდი შედეგი.

მერე წამოვედით თბილისში. ქუთაისი არ იყო ჩვენთვის.

ყველაფერს ფინანსები სჭირდებოდა. ნათესავები კი გვეხმარებოდნენ, მაგრამ ფინანსები მაინც არ იყო საკმარისი.
მერე ხომ იცი, შვილისთვის არაფერი გენანება.
თანდათან დავიწყეთ იმის გაყიდვა, ამის გაყიდვა - ყველაფრის გაყიდვა.
თავიდან ამას ვერ ამჩნევ.
მერე ერთობლივად ყველაფერი გამოჩნდება.
მაგრამ ცოტა შედეგს რომ ხედავ, არაფერი არ გაინტერესებს. ელემენტარულად ფეხს რომ გაშლის, როცა არა ხარ მიჩვეული იმის ფეხის გაშლას, უკვე გგონია, ყველაფერი წინ არის.
ამიტომ, ყურადღებას აღარ ვაქცევდით, რას გავყიდდით, როგორ გავყიდდით. მთავარი იყო გაყიდულიყო და...

მერე წამოვედით აქეთ. აქ უკვე ისეთი ადვილი აღარ იყო. იმიტომ რომ, ქუთაისი მაინც სენაკთან ახლოსაა, აქ კი უკვე ბინა გვჭირდებოდა.
კი გაგვიჭირდა, მაგრამ ისევ გაყიდვები, ისევ რაღაც...
მერე მივედით სარეაბილიტაციო ცენტრში, იქაც დიდი ხანი დავდიოდით. იქ გავიცანით ერთი ექიმი, რომელმაც ოპერაცია გვირჩია. უკვე გადასული იყო ცერებრალურ დამბლაში, მაგრამ მთლად ცერებრალური დამბლა არ იყო, თანდათანობით გადასვლის ნიშნები ჩანდა. ვიბრძოდით, რომ შეჩერებულიყო. გონებრივად ჩვეულებრივად იყო. კიდურებზე ჰქონდა გართულება.
ეს ოპერაციაც ისევ ფინანსებია, მაგრამ მაშინ ხომ არაფერზე ფიქრობ.

მთავარია იშოვო ეს ფული, რას გაყიდი და რას გააკეთებ, მნიშვნელობა არ აქვს.
მერე გავიკეთეთ ოპერაცია. თავიდან გვქონდა შედეგი, ეხლა რომ ვიხსენებთ, ვფიქრობთ, როგორ ავდიოდი დედიკო იმ კიბეებზე და როგორ ჩამოვდიოდიო...

ჯერ ვცხოვრობდით გოსპიტალში, სადაც გაუსაძლისი მდგომარეობა იყო. მაგრამ ყველაფერზე ხუჭავ თვალს ადამიანი. მხოლოდ შედეგი გინდა ნახო. მაგრამ იმდენად გაუსაძლისი იყო, უკვე იწამლებოდა ბუბა იქ. დაგვეხმარა გამგეობა, გადაგვიყვანა ქირით. იმდენად კარგ ადგილას ვიყავით, სკოლა იყო 5 წუთი არც გინდოდა, ვსწავლობდით 81-ე საჯარო საშუალო სკოლაში, რუსული სკოლა არის. ძალიან გვეხმარებოდნენ იქაც მასწავლებლები. მეორე სართულზე უნდა აეყვანათ ბუბა, უნდა ჩამოეყვანათ. დღეს ვერავის ვერ დაავალდებულებ. იმდენად კარგი ხალხი იყო, ვერ ვგრძნობდით, რომ რაღაცა...
მერე გადმოგვიყვანეს აქეთ, მაგრამ სკოლა მაინც იქ დავამთავრეთ. მარშუტკა ემსახურებოდა ბუბას და ჩვეულებრივად დავდიოდით.

ესე თანდათანობით გავხდით უსახლკარო, სულ ვერ ვიგრძენით ისე.
მაგრამ იცი, ეს რა არის? იმ დროს ვერაფერს გრძნობ. მაგრამ ერთ დღეს დაჯდები და იფიქრებ იმაზე, თუ რატომ გახდი უსახლკარო...
მე, მაგალითად, რატომ გავხდი უსახლკარო, მხოლოდ ახ-

ლაღა ვხვდები.
იმ დროს არ მიფიქრია.
რაც გაგვაჩნდა, ყველაფერი გავყიდეთ.
ოქროც დამიტოვებია კლინიკაში. ზოგჯერ ხომ არის, რომ აღარ გაქვს გადასხმაზე და რაღაცაზე. მაშინ ამაზე იმდენად ვერ ფიქრობ. შენი ფიქრია, რომ არაფერი დააკლო, არაფერი არ მოაკლდეს. მერე რომ არ თქვა, ეს მოვაკელიო.
ახტალაშიც კი წავსულვართ, არ დაგვიტოვებია საქართველოში არაფერი, რასაც შეიძლებოდა ეშველა. სულ იმის ფიქრში ხარ, რამე ხომ არ დავაკელიო.
ღამე რომ ვწვებოდი, ვფიქრობდი, რამე ხომ არ არსებობს კიდევ, ვინმე ხომ არ არის კიდევ...
ამის მერე რა მოხდება, აღარ ფიქრობ.
ასე ფიქრებში დავრჩით ქუჩაში.
მაგრამ კეთილი ხალხიც არსებობს ამ ქვეყანაზე.
ჯერ გოსპიტალში მოვხვდით, მერე ქირა და მერე მოვხვდით აქ.
არ გვათოვს, არ გვაწვიმს, არ გვშია. მეტი რა ვიცი.

მერე თანდათანობით, 16 წლის რომ გახდა, უნდა გადაგვეწყვიტა ოპერაცია. ოპერაციაზე ჩვენი საცხოვრისის დირექტორი ძალიან დაგვეხმარა, ყოველ დღე რეკავდა, დაფინანსებას გვიგვიანებდნენ. ბუბა 16 წლის ხდებოდა და მერე აღარ ექნებოდა ამ ოპერაციას აზრი. იმიტომ რომ, ვიდრე ჩამოყალიბება მოხდებოდა, ყველაფერი მანამდე უნდა გაკეთებულიყო.
გაიკეთა ოპერაცია, კორონამ მოგვისწრო, 3 თვე ისე ვიყავით.

არ შეიძლებოდა ოპერაციის მერე რეაბილიტაციის გარეშე. კორონამ ძალიან შეგვიშალა ხელი.

ბუბა:
ოპერაციიდან 3 თვეში დაიწყო პანდემია. ოპერაციიდან 3 თვეში უნდა დამეწყო თერაპია, სანამ კუნთები ჩამოყალიბდებოდა. ამასობაში, დაიწყო კოვიდ პანდემია. ყველაფერი დაიკეტა, სამი თვე პარალიზებული იყო ქალაქი და კუნთები არასწორად ჩამოყალიბდა. მერე გამიჭირდა აღდგენა, დღემდე მიჭირს.
მე- 9 კლასში ვიყავი, როდესაც დავუკავშირდი ჩემს ექიმს, ბატონ ჯემალს, ავუხსენი ჩემი მდგომარეობა, ბატონ მიშასაც, ავუხსენი და სამივემ ერთად გადავწყვიტეთ, რომ გადაგვედგა ეს ნაბიჯი და გაგვეკეთებინა ოპერაცია.
ოღონდ, როგორი რაღაცა იყო იცი? მესამე ოპერაციის დროსაც იყო ის რისკები - 50/50 ზე, ან გაამართლებდა ოპერაცია, ან არა. მითხრეს, რომ შენ ხარ ჩამოყალიბებული ადამიანი, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს ეს რისკები და მერე ჩვენ არაფერი არ მოგვთხოვოო.
მე ვუთხარი: თქვენ რა შუაში ხართ, როცა გავიკეთებ ამ ოპერაციას, ხომ ვნახავ ჩემ შედეგს, რა იქნება. ამის მერე გადავწყვიტეთ ოჯახთან და ექიმებთან ერთად, რომ უნდა გამეკეთებინა ეს ოპერაცია. ოპერაციის წინ უნდა მოსვენებულიყო ორგანიზმი, არ გადატვირთულიყო ტვინი. იმდენად მძიმე ოპერაცია იყო, რომ თუ მოსვენებული ორგანიზმით არ შევხვდებოდი, ოპერაციას ვერ გადავიტანდი. პირდაპირ მითხრეს, თუ დაძაბული შეხვალ საოპერაციოში, ვერ გადაიტანო.

ამის მერე გადავწყვიტეთ, რომ მე-9 კლასიდან გამოვსულიყავი და ჩემი ჯანმრთელობისათვის მიმეხედა და ოპერაცია გამეკეთებინა. სახლში ვთქვი, რომ სწავლას ამ დროისთვის ვწყვეტდი. სახლშიც დადებითი რეაქცია ჰქონდათ და მივხედეთ ოპერაციას.
მოვიდა დრო, როცა საოპერაციოში უნდა შევსულიყავი, ყველაფერი დაწვრილებით გამიმეორეს, რომ არ ყოფილიყო რაიმე წინააღმდეგობა.
შევედი საოპერაციოში და რაც საშიში იყო, რაღაც დოზით განმივითარდა და ჰემოგლობინი დამივარდა. ექიმებმა ეს ვერ გაითვალისწინეს. ოპერაცია უნდა ყოფილიყო 2 საათ ნახევრიანი და გაგრძელდა 4 საათი. მე ამასობაში გამოვედი ნარკოზიდან, დამიმატეს მერე ნარკოზი და ასე ჩატარდა ოპერაცია.
ხშირად ვიგრუზები, ამდენ რამეს ფსიქიკამაც ვერ გაუძლო. რომ ვიხსენებ ჩემს განვლილ გზას და შესაბამისი შედეგი რომ ვერ დავდე, უფრო მეტად ვიგრუზები.

ლელა:
იცით რა, სულ ამას ვეუბნები, ჰო დედიკო, ყველას ეგ გვინდოდა, ოპერაცია და შედეგი. მაგრამ ამით ცხოვრება ხომ არ წყდება. მთავარია, რომ შენ ფსიქოლოგიურად იყო მაგრად. ზოგჯერ რომ ვსაუბრობთ, მეკითხება ხოლმე, დედიკო, მე რომ ფეხზე დავდიოდე, ჩემი ცხოვრება რა სხვანაირი და მრავალფეროვანი იქნებოდა, მაგრამ.. შენ უნდა გახადო შენი ცხოვრება მრავალფეროვანი. ძალიან ძნელია კი, მაგრამ, მოსიარულე ადამიანი და ეტლში მჯდომი ადამიანი ძალიან

ბევრი რამით კი არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ერთი ეს არის, რომ ის მოძრაობს ფეხით და შენ მოძრაობ ეტლით. მაგრამ შენ ყოველთვის უნდა იყო ძლიერი, რათა ფეხით მოსიარულე ადამიანმა არ თქვას შენზე რამე ისეთი. მარტო ის უნდა თქვას, რომ მე ფეხით ვმოძრაობ, შენ კი - ეტლით. ძნელია.. მეც შევდივარ ზოგჯერ, შევდივარ და არ მინდა ცრემლი ვანახო ჩემს შვილს და რამდენჯერ მიტირია ტუ-ალეტში. ძალიან ძნელია რომ გეტყვის - დედიკო მე რომ ფეხით დავდიოდე, როგორი ცხოვრება მექნებოდაო.

ბუბა:
სულ ვფიქრობ ხოლმე, მე რომ ფეხზე დავდიოდე, ჩემი ცხოვ-რება როგორი იქნებოდა.
ძალიან ხშირად დამისვია ჩემთვის ეს კითხვა მაგრამ პასუხი ვერ მიპოვია.

ნოდარი

ორხევის საცხოვრისი

რატომ დავრჩი სახლის გარეშე და მეუღლეს კიბო ჰქონდა თავში და ამიტომ გავყიდე. 7 წელი ძლივს ვაცოცხლე.
ქირით ვცხოვრობდი. მერე ვიღაცა ნათესავთან შევედი და აი, ასე ვიყავი რა.
მეუღლე 4 წელია რაც დამეღუპა. ვერ გადავარჩინეთ. 3 თვეა აქ ვარ. შვილიშვილებთან ერთად.
მკურნალობა დაუნიშნეს, ოპერაცია დაჭირდა.
პენსიით სესხი გამოიტანა, ისიც არ ეყო.
ძალიან ცუდად გახდა ბოლოს.
ამიტომ გავყიდე, ვიფიქრე ვუშველიდი, მაგრამ ვერ ვუშველე.
აფრიკაში ვცხოვრობდით.
დახმარება ვერ მივიღეთ. მივმართე და არ გამოვიდა. ისე ცუ-დად იყო უკვე, დაცდა უნდოდა. დღეს ხვალ, დღეს ხვალო. წელავდნენ, ძალიან ცუდად იყო უკვე, აღარ გამოდიოდა მოც-და.

განაცხადი დაუწერია გამგეობაში, უსახლკარობაზე, თავშე-საფარი რომ მოეცათ. ჩვენ არც ვიცოდით.
ის უკვე აღარ იყო, რომ დაგვირეკეს, დაკმაყოფილდა თქვე-ნი მოთხოვნაო.
იქიდანაც გვივლიდა და გვეხმარებოდა.

რა ვქნა.
სხვა გზა არა მაქვს.

* * *

უსახლკარობა საქართველოში ერთ ერთი ყველაზე უგულებელყოფილი პრობლემაა.
90-იანი წლებიდან მოყოლებული, სახელმწიფო ფორმაციის ცვლილებას, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, 2000-იანი წლების დასაწყისში კი, სახელმწიფოს სოციალური ფუნქციის გაუქმებას და ადამიანების თავისუფალ ბაზარზე მინდობას, უმწვავესი ეკონომიკური სიდუხჭირე და სასოწარკვეთა მოჰყვა.
საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი უძრავი ქონების მასიური გაყიდვა, იპოთეკით დატვირთვა და სხვა ფორმებით გასხვისება, ჯანმრთელობის პრობლემებთან, უმუშევრობასთან, შიმშილთან გასამკლავებლად, ერთადერთ გამოსავლად ჩანდა. შედეგად, უამრავი ადამიანი დარჩა ქუჩაში, ჭერის გარეშე.
თითქოს ამ პრობლემების საპასუხოდ, 2018 წელს, განახლებულმა კონსტიტუციამ, საქართველო სოციალურ სახელმწიფოდ, ხოლო ღირსეული საცხოვრებლის უფლება, მისი კონსტიტუციური ზრუნვის სფეროდ გამოაცხადა. 2018-2019 წლებში, დამატებით, საქართველოს მთავრობამაც არაორაზროვნად აღიარა ქვეყანაში მწვავედ არსებული უსახლკარობის პრობლემა და სახელმწიფო პლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შექმნა ივალდებულა.
მიუხედავად ამისა, დღემდე სახელმწიფო არაფერს აკეთებს უსახლკარობის უმძიმესი საკითხის გადასაჭრელად: დღეს, ქვეყანაში არ არსებობს უსახლკარო პირთა

ვალიდური სტატისტიკა, აღურიცხავია მათი რაოდენობა, გამოუკვეველია უსახლკარობის დეტალური მიზეზები, განუსაზღვრელია „უსახლკარო პირის“ ცნება და რაც მთავარია, არ არსებობს ეფექტური სერვისები, რომელიც უსახლკარო პირთა მწვავე მდგომარეობიდან გამოყვანას, მათთვის ღირსეული საცხოვრებელი და ჯანდაცვის პირობების შექმნას, მათ საზოგადოებაში დაბრუნებასა და რესოციალიზაციას მოემსახურებოდა. მუნიციპალიტეტების დონეზე აქა-იქ მოქმედი, ფრაგმენტული სერვისები არ არის საკმარისი ამ მასშტაბის პრობლემის მოსაგვარებლად და უსახლკარო ადამიანების მდგომარეობის გრძელვადიანად გასაუმჯობესებლად.

ამ მცირე წიგნში გადმოცემული ისტორიები, მუნიციპალურ სერვისებში მაცხოვრებელი ადამიანების ხმას აჟღერებს. ეს წიგნი ჩვენი და ავტორის მორიგი მცდელობაა, მივიტანოთ ეს ხმები ფართო საზოგადოებამდე, სახელმწიფო უწყებებამდე, უგულებელყოფის პოლიტიკის შესაძრავად, პოზიტიური ცვლილებების დასაწყებად.

ღია საზოგადოების ფონდი

```
```



სტატუსი: უსახლკარო

მარიამ ნატროშვილი

ილუსტრაცია: ანკა ბოჭორიშვილი

მადლობა:

გიორგი გზირიშვილს

მერო მაღლაფერიძეს

ანანო ცინცაბაძეს

ვაკო ნაცვლიშვილს

დეთუ ჯინჭარაძეს

ქეთევან ტომარაძეს

გამოცემულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ღია
საზოგადოების
ფონდი